



გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო  
უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი  
სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემა: სასჯელების გამოყენების წესი საერთაშორისო და ეროვნული  
კანონმდებლობით

ნაშრომი შესრულებულია სამართლის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი  
ხელმძღვანელი  
ასოცირებული პროფესორი

ნუგზარ ჭიტაძე  
  
ნინო ბოჭორიშვილი

თბილისი

2020

## შინაარსი

ანოტაცია.....	3
Annotation .....	4
შესავალი.....	5
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა .....	7
თავი II. სასჯელის ცნება, მიზნები და თეორიები.....	9
2.1. სასჯელის ცნება და მიზნები.....	9
2.2. სასჯელების შესახებ თეორიები.....	13
თავი III. არასაპატიმრო სასჯელთა სისტემა.....	19
3.1. არასაპატიმრო სასჯელთა სამართლებრივი რეგულირება .....	19
3.2. ჯარიმა.....	21
3.3. თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა .....	28
3.4. საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა .....	32
3.5. გამასწორებელი სამუშაო .....	39
3.6. სამხედრო პირის სამსახურეობრივი შეზღუდვა .....	42
3.7. შინაპატიმრობა.....	43
3.8. ქონების ჩამორთმევა .....	48
3.9. იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა .....	51
თავი IV. პირობითი მსჯავრი და არასაპატიმრო სასჯელი .....	52
4.1. პირობითი მსჯავრის გამოყენებასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა..	52
4.2. არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების მექანიზმები.....	56
4.3. არასაპატიმრო სასჯელთა შედარებითი სამართლებრივი ანალიზი. ....	61
4.4. არასაპატიმრო სასჯელთა სტატისტიკა .....	63
დასკვნა .....	66
გამოყენებული ლიტერატურა .....	68

## ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება: არასაპატიმრო სასჯელთა დახასიათებას, არა-საპატიმრო სასჯელთა სამართლებრივ ანალიზს, ალტერნატიულ ზომებს, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების მექანიზმებსა და არასაპატიმრო სასჯელთა შედარე-ბით სამართლებრივ ანალიზს, როგორც საპატიმრო სასჯელთან ისე სხვა ქვეყნებში გა-მოყენებულ არასაპატიმრო სასჯელებთან მიმართებით. შევსებით სასჯელის ცნებას, სასჯელის მიზნებს, სახეებს, გავრცელებით არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული სასჯელის პრაქტიკულ მაგალითებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

ნაშრომში, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა, არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის დანიშვნის იმ დამატებით გარემოებებს, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს სამართალშემფარდებელმა არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის დანიშვნისას, განვიხილავთ იმ სასჯელებს, რომლებიც შეიძლება დაენიშნოს არასრულწლოვანს და ასევე იმ სასჯელებს, რომლებიც არ ენიშნება არასრულწლოვანს. ამასთან იმ მინიმალურ და მაქსიმალურ ოდენობებს სასჯელისას, რომელიც ენიშნება არასრულწლოვან პირებს. სამაგისტრო ნაშრომის ბოლოს, წარმოდგენილი იქნება დასკვნა, სადაც შევაჯამებთ ყველა იმ საკითხს, რომელიც განხილული იქნება სამაგისტრო ნაშრომში. შედარებითი კვლევის მეთოდის გამოყენებით ნაშრომში განვიხილავთ სხვადასხვა დროის პრაქტიკოსებისა და მეცნიერ-იუ-რისტების შეხედულებებს, რომელთა ურთიერთშეჯერების საფუძველზე, პირადი აზრის გათვალისწინებით, შეგვექმნება გარკვეული წარმოდგენა სასჯელის ცნებასა და მიზნებთან დაკავშირებით, ასევე არასაპატიმრო სასჯელების ურთიერთმიმართე-ბასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის განხილვისა და პოზიციათა შეჯერების, პრობლემების და მათი გადაჭრის გზების დასახვის შემდეგ, მიღწეული იქნება ნაშრომის ის მთავარი მიზანი, რაც გულისხმობს არასაპატიმრო სასჯელთა საფუძვლიან ცოდნას.

## Annotation

## შესავალი

არასაპატიმრო სასჯელთა გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში მათ შორის საქართველოში საკმაოდ ხშირია. არასაპატიმრო სასჯელები სისხლის სამართლებრივი ზემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა.

**თემის აქტუალობა** - აღნიშნული საკითხი ერთნაირად **აქტუალურია** როგორც სისხლის სამართლის მეცნიერებაში, ისე - სასამართლო პრაქტიკაში. წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება: არასაპატიმრო სასჯელთა დახასიათებას, არასაპატიმრო სასჯელთა სამართლებრივ ანალიზს, ალტერნატიულ ზომებს, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების მექანიზმებსა და არასაპატიმრო სასჯელთა შედარებით სამართლებრივ ანალიზს, როგორც საპატიმრო სასჯელთან ისე სხვა ქვეყნებში გამოყენებულ არასაპატიმრო სასჯელებთან მიმართებით. შევსებით სასჯელის ცნებას, სასჯელის მიზნებს, სახეებს, გავრცელებით არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული სასჯელის პრაქტიკულ მაგალითებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. აღნიშნული თემის აქტუალობას განაპირობებს ის გარემოება, რომ არასაპატიმრო სასჯელები მეტისმეტად ხშირად გამოიყენებოდა სასჯელების სახეები და ყოველდღიური სამოსამართლო საქმიანობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. იურიდიული ლიტერატურაში, ისევე როგორც ყოველდღიურ სამართლებრივ პრაქტიკაში განხილვის საგანს წარმოადგენს ის ხარვეზები, რომლებიც არსებობს, როგორც სასჯელთა სახეების საკანონმდებლო განმარტებაში. პრობლემატურია არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების მექანიზმები, აღნიშნული საკითხი დეტალურად იქნება განხილული წინამდებარე ნაშრომში.

**ნაშრომის მიზანია** არასაპატიმრო სასჯელებთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული შეხედულებების ანალიზი, როგორც მათი კრიტიკა, ისე დადებითი მხარეების წარმოჩენა. კვლევის მიზანს, აგრეთვე, წარმოადგენს მკითხველთათვის არასაპატიმრო სასჯელთა სხვა მხრიდან წარმოჩენა. თეორეტიკოს და პრაქტიკოს იურისტთა მოსაზრებების თავმოყრა, მათი შეპირისპირება და სწორი დასკვნების გამოტანა. ამავდროულად, ნაშრომის მიზანია არასაპატიმრო სასჯელთა მომწესრიგებელი ნორმების განმარტება, როგორც ლიტერატურაში გაკეთებული დასკვნების მოშველიებით, ისე პრაქტიკაზე დაყრდნობით. ამ უკანასკნელის რეალიზებისათვის მიმოხილული იქნება საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები.

**ამოცანები** - ნაშრომში მითითებული მიზნების მისაღწევად დავისახე შემდეგი ამოცანები:

- სასჯელების შესახებ ეროვნული კანონმდებლობის ანალიზი და პრობლემების გამოკვეთა;
- სასჯელების შესახებ უცხოური ლიტერატურის ანალიზი და ეროვნულ პრაქტიკასთან შესაბამისობის დანახვა;

- მიმოხილული იქნება ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები;
- მიმოხილული იქნება საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები.

**პრაქტიკული მნიშვნელობა.** ნაშრომზე მუშაობისას საფუძვლიანად გავეცნობით საკითხებს, რომელთა ცოდნის გარეშეც ბუნდოვანი იქნებოდა არასაპატიმრო სასჯელებთან დაკავშირებული მრავალი პრობლემა რომელთა ცოდნაც, ვფიქრობ, უაღრესად სასარგებლოა პრაქტიკული თვალსაზრისით.

**კვლევის მეთოდები** არასაპატიმრო სასჯელთა სიღრმისეულად შესწავლის მიზნით გამოყენებული იქნება კვლევის ზოგადმეცნიერული მეთოდები: შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდი, რომლის მეშვეობით გაანალიზებული იქნება არასაპატიმრო სასჯელებთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების გადაჭრის გზები. ნაშრომში გამოყენებულ იქნება კვლევის სტატისტიკური მეთოდი, აღნიშნული კვლევის მეთოდის გამოყენებით ნაშრომში წარმოვადგენთ არასაპატიმრო სასჯელთა გამოყენების სტატისტიკურ მონაცემებს. ლოგიკური აზროვნების და სისტემური კვლევის მეთოდები. მსჯელობის გასამყარებლად მოშველიებული იქნება სასამართლო გადაწყვეტილებები, ასევე პრაქტიკული კომპონენტები პირადი გამოცდილებიდან, რაც საბოლოო ჯამში, არასაპატიმრო სასჯელთა სამართლებრივ ასპექტებთან დაკავშირებით მკითხველს შეუქმნის სრულ სურათს.

## თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

სამაგისტრო ნაშრომის „არასაპატიმრო სასჯელები, ალტერნატიული ზომები და მათი აღსრულების მექანიზმები (შედარებითი სამართლებრივი ანალიზი)“ უამრავი უცხოენოვანი და ქართული ლიტერატურა არსებობს, რომელთაგან ამ ეტაპზე გამოვყოფდი შემდეგს:

ირაკლი დვალიძე „სისლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, აღნიშნულ ნაშრომში განხილულია სასჯელის ცნება, მიზნები, სასჯელთა სისტემა, ცალკეულად დახასიათებულია ჩვენთვის საინტერესო არასაპატიმრო სასჯელები. ავტორი მსჯელობს საკანონმდებლო ხარვეზებზე, სამართლებრივ ლიტერატურასში არსებულ მოსაზრებებზე ზემოთ ხსენებულ საკიხებთან მიმართებით. ამასთან დეტალურად განიხილავს თეორიებს სასჯელთან მიმართებით.

მერაბ ტურავა, „დანაშაულის მოძღვრება“ მასში განხილულია ზოგადი საკითხები სასჯელთან მიმართებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავტორის მსჯელობები სასჯელის თეორიებთან მიმართებით, ის დეტალურად აღწერს თეორიებს და კონკრეტული თეორიის მიმდევართა მოსაზრებებს, მსჯელობს და თავის აზრს არგუმენტირებულად ასაბუთებს ამ თეორიათა დადებით და უარყოფით მხარეებზე.

იოსებ ვარძელაშვილი „სასჯელის მიზნები“ მოცემულ ნაშრომში განხილულია როგორც სასჯელის მიზნები, ისე სასჯელის ცნება, სასჯელის თეორიები, სასჯელთა აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები და არასრულწლოვანთა სასჯელები. განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელი სწორედ სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების განსაზღვრაა ვინაიდან ყველაზე დიდი ხარვეზები სწორედ ამ კუთხით ვლინდება. ნაშრომის განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენს არასრულწლოვანთა სასჯელებზე მსჯელობა, განსაკუთრებით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსთან მიმართებით, მას შემდეგ რაც დაინერგა ეს ინსტიტუტი.

გიორგი არსოშვილი, გივი მიქანაძე, მორის შალიკაშვილი „პრობაციის სამართალი“ საკმაოდ ვრცლად არის განხილული არასაპატიმრო სასჯელები, როგორც საპატიმრო სასჯელის ალტერნატიული სასჯელები, თუმცა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული სახელმძღვანელოს ის ნაწილი, რომელიც ეთმობა არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოსაფხვრელად რეკომენდაციებს.

კვლევის ანგარიში „არასაპატიმრო სანქციების გამოყენების ხელშეწყობა სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში.“ ანგარიში წარმოადგენს იმ პროექტის ნაწილს, რომელიც მიზნად ისახავს სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანაში დამნაშავეთა მართვის პროცესში არასაპატიმრო მიდგომების ხელშეწყობას. ნაშრომში ასახულია საერთაშორისო მიდგომები არასაპატიმრო სასჯელთა გამოყენე-

ბის უპირეტესობებთან მიმართებით, ასახულია თითოეულ ქვეყანაში არსებული სიტუაცია ამ კუთხით, წარმოდგენილია რეკომენდაციები სიტუაციის გაუმჯობესების კუთხით.

ზურაბ გოთუა „საზღვარგარეთის სისხლის სამართალი“, მოცემული ლიტერატურა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შედარებითი სამართლებრივი ანალიზის კუთხით, მასში დეტალურად არის განხილული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაში მოქმედი სასჯელები, სასჯელის მიზნები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

„სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო) ზოგადი ნაწილი“ (ავტორთა კოლექტივი), სახელმძღვანელოში განხილულია სასჯელის ცნება, მიზნები, სასჯელის სახეები, მოყვანილია გარკვეული პრაქტიკული მაგალითები სასამართლო გადაწყვეტილებების სახით.

ალ. ვაჩიშვილის, „სასჯელი და სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი“, აღნიშნული სახელმძღვანელოს გამოყენებით დეტალურად გავცნობით სასჯელის თეორიებს. სხვა და სხვა მეცნიერ-იურისტთა შეხედულებებს სასჯელის თეორიებთან მიმართებით, ეს იქნება სასჯელის ცნება თუ სასჯელის მიზნები.

ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი „შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში-ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, მოცემული სახელმძღვანელო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასაპატიმრო სასჯელის - შინაპატიმრობის, რომელიც წარმოადგენს ინოვაციას ქართულ სისხლის სამართალში, ცნების განსაზღვრასთან დაკავშირებულ საკითხებს. ასევე დაგვეხმარება შინაპატიმრობის სასჯელად დანიშვნისთვის საჭირო ნიუანსების განსაზღვრაში. შეეხება შინაპატიმრობის, როგორც აღნიშნული სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მ. დავითაძე, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N3, „საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენება და მისი კანონისმიერი შეზღუდვები“, აღნიშნული სახელმძღვანელოს გამოყენებით დეტალურად მიმოვიხილავთ არასაპატიმრო სასჯელის სახეს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას. მიმოვიხილავთ სასჯელის ამ სახესთან დაკავშირებულ ნიუანსებს, მის დადებით და უარყოფით მხარეებს.



## თავი II. სასჯელის ცნება, მიზნები და თეორიები

### 2.1. სასჯელის ცნება და მიზნები

სისხლის სამართლის ერთ-ერთ ძირითად ინსტიტუტს წარმოადგენს სასჯელი, რომელიც მჭიდრო კავშირშია დანაშაულთან. არა მხოლოდ იურიდიული აზრი არამედ მეცნიერების სხვადასხვა დარგები საუკუნეების განმავლობაში გამოთქვამდნენ განსხვავებულ შეხედულებებს ამ ორი ინსტიტუტის არსისა და ბუნების შესახებ თუ რომელი იყო უპირატესი მათში.

გერმანელი მოაზროვნე ანსელიმ ფოიერბახი სისხლის სამართლის ძირითად ცნებად სასჯელს მიიჩნევდა. მისი თვალსაზრისით მთელი სისხლის სამართალი სწორედ ამ ცნებიდან გამომდინარეობს. ასევე გერმანელი მეცნიერი ვილჰელმ ზაუერი სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის განხილვის დროს პირველ ადგილზე აყენებდა სასჯელის ცნებას, ვინაიდან სისხლის სამართლის ძირითად ამოცანად მას მიაჩნდა სასჯელის არსისა და მიზნების გამოკვლევა. რუსი მეცნიერის ა. ჟიჟილენკოსა და სხვების აზრით, სისხლის სამართლის მეცნიერების განხილვა უნდა იწყებოდეს სასჯელის ცნების, როგორც სისხლის სამართლის ძირითადი საკითხის ანალიზით.<sup>1</sup> გამომდინარე ამ მოსაზრებებიდან საშუალება გვაქვს დავასკვნათ, რომ სასჯელის ცნება სისხლის სამართლის დოქტრინაში ძირითადი ცნებაა და საკითხთა განხილვა სისხლის სამართალში სწორედ სასჯელის ცნების ანალიზით უნდა იწყებოდეს.

სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქციას სასჯელთან მიმართებით აქვს კონსტიტუციური რანგი: „Nulla poene sine lege“ (არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე) “nulla poena sine culpa” (არ არსებობს სასჯელი ბრალის გარეშე). აღნიშნული გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტიდან<sup>2</sup>.

დანაშაულის ყველა კონკრეტულ შემადგენლობას აქვს კანონმდებლის მიერ განსაზღვრული კონკრეტული სანქციის ფარგლები. სასჯელის არის სახელმწიფო იძულების ღონისძიება, რაც იმას ნიშნავს, რომ სასჯელის დაწესების უფლება, მხოლოდ სახელმწიფოს აქვს. სამოსამართლო საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას ბრალის ხარისხის შესაბამისი სასჯელის დანიშვნა წარ-

---

<sup>1</sup> მ. ტურავა, „სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი) დანაშაულის მოძღვრება“. თბილისი. 2011. გვ.37.

<sup>2</sup> იხ. სქოლიო N1. გვ.39.

მოადგენს<sup>3</sup>. სასჯელი ინიშნება მხოლოდ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის შემთხვევაში, შესაბამისად მას მკაცრად რეგლამენტირებული საპროცესო ფორმა გააჩნია. მოსამართლე სასჯელის დანიშვნის დროს ხელმძღვანელობს სსკ-ის 53-ე მუხლით და ითვალისწინებს არა მარტო ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს არამედ დამნაშავეს პიროვნებას. სხვა სახელმწიფოს იძულების ღონისძიებებთან შედარებით სასჯელი ყველაზე მკაცრი ღონისძიებაა. სასჯელი ინიშნება მხოლოდ დანაშაულის განხორციელებისათვის.

სისხლის სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ირაკლი დვალიძე, განმარტავს, რომ „სისხლის სამართლებრივი სასჯელისთვის დამახასიათებელი ნიშნები შეძლება გამოიყოს, რაც სასჯელის ცნების ჩამოყალიბების საშუალებას მოგვცემს:

1) სასჯელი არის სახელმწიფო იძულების ღონისძიება, რაც იმას ნიშნავს, რომ სასჯელის დაწესების უფლება მხოლოდ სახელმწიფო ორგანოს შეუძლია. სხვა სახელმწიფო იძულების ღონისძიებებთან შედარებით, სასჯელი ყველაზე მკაცრი ღონისძიებაა. გარკვეული ქმედებისთვის სასჯელის დაწესება მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია, ესე იგი ამა თუ იმ ქმედების კრიმინალიზაცია და დეკრიმინალიზაცია სახელმწიფოს უფლებაა. შესაბამისად, ვინც განსაზღვრავს დანაშაულებრიობას, მანვე უნდა განსაზღვროს დანაშაულის პროპორციული სასჯელი, დანაშაულის სოციალური საშიშროების მიხედვით;

2) სასჯელი ინიშნება მხოლოდ დანაშაულის განხორციელებისათვის;

3) სასჯელის გამოყენებას მკაცრად რეგლამენტირებული საპროცესო ფორმა გააჩნია. სასჯელი ინიშნება სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ სასამართლოს შეუძლია.

4) სასჯელი დგინდება საქართველოს სახელით. სამართლებრივ სახელმწიფოში დადგენილი პოზიტიური სამართალი განმარტავს ხალხის ნებას, ამიტომ დანაშაული ყოველთვის საყოველთაო ნების ხელყოფაა. ამის გამო დამნაშავე უპირისპირდება საქართველოს მოქალაქეთა საყოველთაო ნებას. სწორედ ამით უნდა აიხსნას, ის რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 258-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, „განაჩენი დგინდება და ცხადდება საქართველოს სახელით.“;

---

<sup>3</sup> ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისამართლებრივი შედეგები). თბილისი, 2013. გვ.13.

5) სასჯელი, მისი ობიექტურობიდან გამომდინარე ყოველთვის გულისხმობს დამნაშავეს-თვის „რაც არასასურველს.“ წინააღმდეგ შემთხვევაში მოქალაქეებს სასჯელის შიშიც აღარ ექნებათ. წარმოდგენელია ისეთი სასჯელი, რომელიც დამნაშავესთვის სიამოვნების მიმნიჭებელი იყოს. თუნდაც ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ სასჯელი, როგორი სახისაც და ზომისაც არ უნდა იყოს, გარკვეულწილად, მაინც არის შურისძიების გამოვლინება. აქედან გამომდინარე, სასჯელს ყოველთვის თან სდევს დამნაშავეს უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა.

6) სასჯელი იწვევს განსაკუთრებულ იურიდიულ შედეგს - ნასამართლობას.

ამრიგად, სასჯელი არის სახელმწიფოს იძულებითი ღონისძიება, რომელიც საქართველოს სახელით ინიშნება სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით დანაშაულის ჩადენისათვის, ყოველ-თვის უკავშირდება ადამიანის უფლებების შეზღუდვას და იწვევს ნასამართლობას.<sup>4</sup>

რაც შეეხება სასჯელის მიზნებს აღნიშნულს განსაზღვრას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში სსკ.) 39-ე მუხლი. კერძოდ სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია. აღნიშნულ მუხლში სასჯელის მიზნები განსაზღვრულია აბსოლუტური და პრევენციული თეორიების სინთეზის გზით.

ისტორიულად უძველეს დროში სასჯელის უმთავრესი მიზანი იყო დანაშაულის ჩამდენის-თვის სამაგიეროს მიზღვა. ცნობილია გამოთქმა, რომ დამნაშავეს უნდა მიზლოდა „თვალი თავლის წილ კბილი კბილის წილ“. პირველი თეოლოგიური თეორიები, რომლებიც ფაქტობრივად სასჯელის მიზანზე საუბრობდნენ, ეფუძნებოდნენ ძველი აღქმის პოსტულატს და მიიჩნევდნენ, რომ სასჯელი ეს ბოროტებისთვის სამაგიეროს მიზღვაა.

სასჯელის მიზნად „სამაგიეროს მიზღვის“ თეორიის საწინააღმდეგოდ და სასჯელისათვის უტილიტარული მიზნის დაკისრებამ ყველაზე უფრო თანმიმდევრული დამუშავება ჰპოვა მე-18 საუკუნეში „განმანათლებელთა“ მიერ. სასჯელის დანიშნულების იდეას აღიარებდნენ ფრანგები მონტესკიე, ვოლტერი, იტალიელები ბეკარია და სხვები.

ბეკარიამ სასჯელის მიზანი შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: სასჯელის მიზანი არ არის წამება და ტანჯვა, და არა ის, რომ ჩადენილი დანაშაული არსებითად გავხადოთ, არამედ მხოლოდ ის, რომ დამნაშავეს ხელი შეეშალოს კვლავ მიაყენოს ზიანი საზოგადოებას და სხვებიც შეაკავოს ასეთივე ქმედების ჩადენისაგან. ამიტომ საჭიროა მხოლოდ ისეთი სასჯელის გამოყენება, რომელიც

---

<sup>4</sup> ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები). თბილისი. 2013. გვ.13-14

დანაშაულთან თანაფარდობის გამო ყველაზე ძლიერ შთაბეჭდილებას მოახდენს სულზე და ნაკლებად მტანჯავი იქნება ადამიანის სხეულისათვის<sup>5</sup>.

პროფესორ გიორგი ხუბუას მოსაზრების თანახმად, - „სამართლის შემფარდებელი სამართლიანობის მასშტაბს პოულობს კანონის ტექსტში. რამდენადმე განსხვავებულია კანონმდებლის მდგომარეობა, რომელმაც თვითონ უნდა ჩამოაყალიბოს სამართლიანი ნორმა. ამავე დროს, სამართლიანობა კანონმდებელსაც ბოჭავს. კანონმდებელმა დაწვრილებით უნდა შეისწავლოს კანონით მოსაწესრიგებელი ურთიერთობა; გაითვალისწინოს მასში მონაწილე სუბიექტთა ინტერესები და სამართლებრივი რეგულირების შესაძლო შედეგები“<sup>6</sup>. ე.ი. სასჯელის მიზანი უნდა გამომდინარეობდეს დანაშაულის სპეციფიკიდან და აფუძნებდეს მის შესაბამის სასჯელს. ამიტომაც, მცდარია შემდეგი მიდგომა: სასჯელი განსაზღვრავს სასჯელის მიზნებს; პირიქით, სასჯელის მიზნები თავადვე განსაზღვრავენ მას (სასჯელის ხასიათს). დანაშაულისა და სასჯელის პრობლემა არსებობდა ძველი ცივილიზაციებიდან მოყოლებული. პირველი სისხლის სამართლის კოდექსი შეიქმნა ჯერ კიდევ შუმერების დროს. ასევე ცნობილია ჰამურაბის კოდექსი და თორმეტი ტაბულის კანონი. სასჯელზე საუბრისას საინტერესოა ის ფაქტი, თუ როგორ აღიქვამდა მას საზოგადოება კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. სასჯელის ცნებამ და მიზნებმა გრანდიოზული ცვლილებები განიცადა, დაწყებული ტალიონის პრინციპის არსებობის დროიდან, ვიდრე ჩვენს ეპოქამდე. თანამედროვე სისხლის სამართალი მეთვრამეტე საუკუნეში ჩაისახა, როდესაც ევროპულმა ქვეყნებმა მიიღეს ერთმანეთის მსგავსი სისხლის სამართლის კანონმდებლობა, განსაზღვრეს დანაშაულებრივ ქმედებათა ცნება, ნიშნები, სასჯელის სახეები და მიზნები. მის უზრუნველსაყოფად შექმნეს საპოლიციო სისტემები. მანამდე თითოეული სახელმწიფო ინდივიდუალურად განსაზღვრავდა სასჯელის მიზნებს, რომელთან დაკავშირებითაც არსებობდა მეცნიერთა განსხვავებული და ზოგჯერ, ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებანი. ამ თეორიებმა კაცობრიობის განვითარებისა და პრიორიტეტების შეცვლის შესაბამისად, ევოლუცია განიცადეს და დაამკვიდრეს თანამედროვე სისხლის სამართლებრივ კანონმდებლობაში განმტკიცებული სასჯელის მიზნები. სასჯელის თეორიაში სასჯელის მიზანთა საკითხი მთავარი საკამათო თემაა.<sup>7</sup> ამ კამათში გამოიკვეთა რამდენიმე მიმართულება, ძირითადად კი, თეორიათა ორი ჯგუფი – აბსოლუტური და შეფარდებითი.

---

<sup>5</sup> ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო) ზოგადი ნაწილი. თბილისი. 2016. გვ. 479

<sup>6</sup> გ. ხუბუა, სამართლის თეორია, მეორე გამოცემა, გამომცემლობა “მერიდიანი“, თბილისი, 2015, გვ. 87

<sup>7</sup> მ. ჩანქსელიანი, სტატია *სასჯელის მიზნები სასჯელის ევოლუციის თეორიაში*, გრიგორ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, გვ. 2-3.

## 2.2. სასჯელების შესახებ თეორიები

აბსოლუტური თეორიის მიხედვით სასჯელს არ შეილება გააჩნდეს სხვა მიზანი გარდა სამაგიეროს გადახდისა. მისი მთავარი განმსაზღვრელია სამაგიეროს მიზღვა. სასჯელის დანიშვნა არ შეიძლება იმისთვის, რომ ამით სხვა სასარგებლო მიზნები შესრულდეს, ანუ სასჯელის დანიშვნის საფუძველი დანაშაულია და სასჯელს არ შეიძლება მიზნად დავუსახოთ უტილიტარული მიზნები. სასჯელს არ შეილება რაიმე სხვა მიზანი გააჩნდეს, დასჯის გარდა. სასჯელი სწორედ იმიტომ ინიშნება, რომ პიროვნებამ ინდივიდუალური ნება, დანაშაულის ჩადენით დაუპირისპირა საყოველთაო ნებას. სასჯელი ინიშნება დასჯისთვის.<sup>8</sup>

სასჯელის აბსოლუტური თეორიების ჯგუფს მიეკუთვნება კანტისა და ჰეგელის მოძღვრებები სასჯელზე.<sup>9</sup>

კანტის ფილოსოფიის ამოსავალი წერილი კატეგორიული იმპერატივია, ზნეობრივი კანონის იდეაა, რომელიც ნებისყოფის უფლებას გულისხმობს.<sup>10</sup> კანტი უარყოფს სამართლისა და ზნეობის სფეროში სარგებლიანობის რაიმე კრიტერიუმის გამოყენებას. ვინაიდან ადამიანი წარმოადგენს თვითმიზანს, ამიტომ არ შეიძლება მისი გამოყენება, როგორც საშუალება, რაიმე პრაქტიკული მიზნის მისაღწევად.<sup>11</sup> დანაშაული განიხილება, როგორც ზნეობრივი კანონის დარღვევა. სამართლიანი სასჯელი ემყარება თანასწორობის პრინციპს, რის გამოც სასჯელი ტალიონის ხასიათს ღებულობს.<sup>12</sup> სასჯელი ადამიანს მხოლოდ იმიტომ შეეფარდება, რომ მან ჩაიდინა დანაშაული.

ჰეგელი სასჯელს განიხილავს, როგორც ადამიანის უფლებას, რითაც ჩვენ პატივს ვცემთ დამნაშავეს, როგორც გონიერ არსებას და, პირიქით პატივს არ ვცემთ თუ ჩვენს სასჯელის ცნებასა და ზომას მის მიერ ჩადენილი დანაშაულიდან ვიღებთ, როცა მას მხეცად ვთვლით, რომელიც გაუვნებელყოფას საჭიროებს და მას დაშინებისა და გამოსწორების მიზნით ვსჯით.<sup>13</sup>

აბსოლუტური თეორიების საწინააღმდეგოდ ჩამოყალიბდა შეფარდებითი თეორიები, ანუ უტილიტარული (მიზნობრივი) თეორიები, რომლებიც სასჯელის მიზნად დანაშაულის პრევენცი-

---

<sup>8</sup> ი. დვალაძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები). თბილისი. 2013. გვ.16

<sup>9</sup> ალ. ვაჩიშვილის, სასჯელი და სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი, თბილისი 1960. გვ. 28.

<sup>10</sup> იხ. სქოლიო N9 გვ. 28-29.

<sup>11</sup> იხ. სქოლიო N9 გვ. 29.

<sup>12</sup> ალ. ვაჩიშვილის, სასჯელი და სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი, თბილისი 1960. გვ. 29.

<sup>13</sup> იხ. სქოლიო N12 გვ. 30.

ას ასახელებდნენ, ამ თეორიების მიხედვით გადამწყვეტია დანაშაულის თავიდან აცილება<sup>14</sup>. მაშასადამე თავისი არსით უტილიტარული თეორიები პრევენციის თეორიებია.

ა. ფოიერბახი უარყოფს სამართალში ნებისყოფის თავისუფლებას და მას ზნეობის ჩარჩოებით ზღუდავს. მისთვის სამაგიეროს მიზლის საწყისი მიუღებელია. ზნეობრივი სამაგიეროს მიზლვა მოითხოვს ბრალსა და სასჯელს შორის პროპორციულობის დადგენას, რაც ადამიანის შეზღუდული გონების მიხედვით შეუძლებელია. ფოიერბახი ეთანხმება ბეკარიას იმ მოსაზრებას, რომ დანაშაულის ჭეშმარიტ საზომს საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანი წარმოადგენს. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ფოიერბახი კატეგორიულად უარყოფს სამაგიეროს მიზლვას სისხლის სამართალში და აღიარებს სასჯელის საერთო პრევენციულ ფუნქციას.

აბსოლუტური და შეფარდებითი თეორიების გვერდით განვითარდა შემაერთებული თეორიები, რომლებიც ცდილობენ აბსოლუტური და შეფარდებითი თეორიების ცნებების შეთანხმებას<sup>15</sup>. ამ მხრივ საინტერესოს გერმანელი მეცნიერის ზაუერის და მაიერის მოსაზრებები. ზაუერი სასჯელის შინაარსს ტანჯვის მიყენებაში ხედავს. შინაარსის გარეთ დევს სასჯელის სამი მიზანი: ა) სამაგიეროს მიზლვა უმართლობისათვის; ბ) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა; გ) საზოგადოებისა და მისი წევრების უზრუნველყოფა და დაცვა.<sup>16</sup> რაც შეეხება მაიერს, მისი მოსაზრებები ყურადღების ცენტრში მოექცა იმიტომ, რომ სხვებისგან განსხვავებით, იგი ცდილობს სასჯელის შესახებ ტრადიციული ცნებებისა და იდეების არა გაერთიანებას, არამედ განაწილებას. მისი აზრით „დასჯის საკითხში სამი სახელმწიფო ორგანო მონაწილეობს: კანონმდებელი, მოსამართლე და სასჯელის აღმასრულებელი თანამდებობის პირი. დასჯის სამი ინსტანცია არსებობს: სასჯელის მუქარა, სასჯელის შეფარდება და სასჯელის აღსრულება. მათ შორის ორგანული კავშირია, რადგან სასჯელის მუქარა თავის კონკრეტიზაციას პოულობს სასჯელის შეფარდებაში, ხოლო ეს უკანასკნელი ტარდება სასჯელის განხორციელების გზით.“<sup>17</sup>

სამართლიანობის აღდგენის უმთავრესი წინაპირობაა სამართლიანი სასჯელის შეფარდება. შეიძლება ასეც ითქვას: სამართლიანობის აღდგენა იწყება სამართლიანი სასჯელის შეფარდებით. თავის მხრივ, სამართლიანი სასჯელის შეფარდება უნდა მოხდეს ა) დამნაშავის პიროვნების ბ) დანაშაულის სიმძიმის გ) დაზარალებულისა და საზოგადოების, ინტერესთა გათვალისწინებით. სას-

---

<sup>14</sup> ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები). თბილისი. 2013

<sup>15</sup> ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები). თბილისი. 2013.

<sup>16</sup> ალ. ვაჩიშვილის, სასჯელი და სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი, თბილისი 1960. გვ. 68-69.

<sup>17</sup> იხ. სქოლიო N 16 გვ. 72.

ჯელის შეფარდება არ შეიძლება ეფუძნებოდეს სამართლიანობის აბსტრაქტულ იდეას და ტალიონის პრინციპის განხორციელებას. სამართლიანი განაჩენი უნდა იყოს დამნაშავეის რაციონალური, მიზანშეწონილი დასჯა, რაც ხელს შეუწყობს დამნაშავეობასთან წარმატებულ ბრძოლას, კანონების, ასევე, საერთო თანაცხოვრების წესების სათანადო დაცვას.<sup>18</sup> მაშასადამე, ასეთ შემთხვევაში, აქცენტი უნდა გაკეთდეს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპზე (სამართალშემფარდებლის მხრიდან). როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამართლიანი სასჯელის შეფარდება სამართლიანობის აღდგენის პირველწყაროა. კერძოდ: სამართლიანობის აღდგენა გულისხმობს ჩადენილი დანაშაულისთვის ისეთი სასჯელის დანიშვნას, რომელიც არ დატოვებს უსამართლობის განცდას დამნაშავეის, დაზარალებულისა და საზოგადოების თვალში. ე.ი. მასობრივად უნდა გაჩნდეს არათუ უსამართლობის, არამედ სამართლიანობის განცდა, რაც სამართლისადმი ნდობით განსჭვალვას განაპირობებს.

ზოგიერთი ავტორი უარყოფს სამართლიანობის აღდგენას, როგორც სასჯელის მიზანს. მაგ: ს. პოლუბინსკაია სასჯელს მხოლოდ პრევენციულ მიზანს უსახავს და მიიჩნევს, რომ შეუძლებელია სამართლიანობის აღდგენის მიზნის კანონში დაფიქსირება, რადგან შეუძლებელია ამ მიზნის მიღწევის ხარისხის გაზომვა.<sup>19</sup>

ვ. დუიუნოვის აზრით, აღნიშნული მიზნის (ლაპარაკია სამართლიანობის აღდგენაზე) კანონმდებლობაში საჯაროდ გამოცხადება წარმოადგენს კანონმდებლის მიერ სამაგიეროს მიზღვის, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზნის, ოფიციალურ აღიარებას. ავტორი არ ეთანხმება არც ტერმინ „სამართლიანობის აღდგენას“. ის ფიქრობს, რომ „დანაშაულის წინ“ არსებული ყველა ურთიერთობა არ შეიძლება იქნას დახასიათებული, როგორც სამართლიანი და, აქედან გამომდინარე, ისინი არ ექვემდებარება აღდგენას. მაგ: ქმარი სისტემატურად „ატერორებს“ ოჯახს და ამის გამო ცოლი კლავს მას. შეიძლება თუ არა მსგავსი ცხოვრებისეული სიტუაცია, რომელიც დანაშაულის ჩადენის წინ წარმოიქმნება მივიჩნიოთ სამართლიანად? რომელი სამართლიანობა უნდა აღადგინოს ამ შემთხვევაში სასჯელმა?<sup>20</sup> გვეკითხება ავტორი და იქვე გვთავაზობს რომ „სამართლიანობის აღდგენა“ შეიცვალოს „სამართლიანობის დამტკიცებით“ ან „მოქალაქეთა სამართლიანობის გრძნობის დაკმაყოფილებით“.<sup>21</sup>

---

<sup>18</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი, მართლმსაჯულება და კანონი, 2004, გვ. 22

<sup>19</sup> С. Полубинская. Цели уголовного наказания М. 1980. с. 23

<sup>20</sup> В. К. Дуюнов. Механизм уголовно-правового воздействия теоретические основы и практика реализации. дисс. докт. Юрид. Наук. Тольяти 2001 с. 162

<sup>21</sup> В. К. Дуюнов. Механизм уголовно-правового воздействия теоретические основы и практика реализации. дисс. докт. Юрид. Наук. Тольяти 2001. С. 182-183.

ჩნდება შემდეგი კითხვა: არის თუ არა შესაძლებელი, რომ დანიშნული სასჯელი მხოლოდ სამართლიანობის აღდგენის მიზანს ემსახურებოდეს? - დიახ. ამ პასუხის დასასაბუთებლად, არგუმენტის სახით, მოვიყვანოთ პრაქტიკული მაგალითი; გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში არის საუბარი ნაციონალ-სოციალისტების დასჯის შესახებ. მათ მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა. ეს იყო შემთხვევა, როდესაც მსჯავრდებულთა ასაკის თუ სხვა გარემოების გამო, პრაქტიკულად არ არსებობდა მათი მხრიდან მსგავსი დანაშაულების განმეორებით ჩადენის საფრთხე. მაშასადამე, აქ, სასჯელი მხოლოდ სამართლიანობის აღდგენის მიზნით იქნა გამოყენებული. აღნიშნული, შეიძლება ერთგვარ გამონაკლისადაც მივიჩნიოთ, რადგან, სხვა შემთხვევაში, როგორც წესი, უპირატესობა პრევენციულ მიზნებს ენიჭებათ, თუ არ ჩავთვლით ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ლიტვა, მალტა, ნიდერლანდები. ამ სახელმწიფოთა კანონმდებლობის თანახმად, უვადოდ თავისუფლება აღკვეთილი პირების მიმართ არ გამოიყენება პირობით ვადამდე გათავისუფლების ინსტიტუტი.

სასჯელის მეორე მიზანი დანაშაულის თავიდან აცილებაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელი ზემოქმედებს როგორც მსჯავრდებულზე, ასევე სხვა პირებზეც, შესაბამისად, იგი განსაზღვრული ხარისხით ახორციელებს როგორც სპეციალური, ისე ზოგადი პრევენციის მიზანს.

ზოგად ანუ გენერალურ პრევენციაზე იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება. ერთ-ერთი შეხედულებით სასჯელის ზოგად პრევენციული მიზანი ხორციელდება “დაე, სხვებს ეშინოდეთ” პრინციპით. არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომლის თანახმად სასჯელის პრევენციული ზემოქმედება არ შეიძლება დავიყვანოთ დაუმორჩილებელი პირების მიმართ დამაშინებელ ზემოქმედებაზე. დანაშაულის თავიდან აცილებაში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საზოგადოების წევრთა აღზრდა მათში პოზიტიური მორალის, რწმენისა და შეხედულებების გამომუშავების მიმართულებით.

შეხედულებების ანალიზიდან გამომდინარე შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ზოგადი პრევენციის მიზანი სასჯელით დაშინების გარდა ფლობს უდიდეს მორალურ ეფექტს და ის მიღწეულია მაშინ, როცა არაკანონმორჩილი მოქალაქეები აღიქვამენ იმ ფაქტს, რომ ყოველ ჩადენილ დანაშაულს გარდაუვლად მოჰყვება სასჯელი და ამის შედეგად შეწყვეტენ თავიანთ საქმიანობას, რომელიც დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაზეა ორიენტირებული.<sup>22</sup>

---

<sup>22</sup> მ. ქათამაძე, სასჯელის მიზნები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, აღმანახი 2004 №19 სისხლის სამართალი (III)



სასჯელის გენერალური პრევენციის თეორიის ადრესატია მთელი საზოგადოება. აქ გამოიყოფა ნეგატიური და პოზიტიური ასპექტები.<sup>23</sup>

სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენცია ზემოქმედებას ახდენს საზოგადოების აბსოლუტურად ყველა წარმომადგენელზე (არა მარტო პოტენციურ დამნაშავეებზე), ხოლო ნეგატიური გენერალური პრევენცია - მხოლოდ დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილ ადამიანებზე.<sup>24</sup>

დანაშაულის თავიდან აცილების მიზნის ფართო კონცეფციაში მოქცეულია (გარდა ზოგადი პრევენციისა) დანაშაულის სპეციალური პრევენციის თეორიაც. სპეციალური პრევენცია მიმართულია უშუალოდ მსჯავრდებულისკენ და ესწრაფვის მისი მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის გამორიცხვას. გენერალური პრევენციისგან განსხვავებით, რომელიც ხორციელდება კანონის გამოქვეყნების მომენტიდან, სპეციალური პრევენცია სასჯელის დანიშვნის მომენტიდან იღებს სათავეს.

სასჯელის მესამე მიზანს სსკ-ის 39-ე მუხის 1-ლი ნაწილის შესაბამისად დამნაშავის რესოციალიზაცია წარმოადგენს, რომელიც განსხვავებით სხვა ორი მიზნისაგან მთლიანად ერთ კონკრეტულ პიროვნებაზეა მორგებული. დამნაშავის რესოციალიზაცია გულისხმობს საზოგადოებაში მის სრულყოფილებიან წევრად დაბრუნებას, აღდგენას, პიროვნულ რეინტეგრაციას. დამნაშავის რესოციალიზაციის წარმატებით განხორციელება ყოველთვის მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას. საჭიროა მსჯავრდებულის პიროვნების კარგად შესწავლა, რაც მოითხოვს მისი პიროვნული მონაცემების სრულყოფილ ცოდნას. რესოციალიზაციის აუცილებლობა დგას იმ პირობის მიმართ, რომელთაც წარსულში განიცადეს დესოციალიზაცია, ანუ, უკვე გავიდნენ სოციალიზაციის პროცესიდან. თავად სოციალიზაცია - ეს არის საზოგადოებრივი ცხოვრების აღქმისა და მასთან შეგუების თანდათანობითი პროცესი, რომელიც დაბადების შემდგომ ყველა ადამიანმა უნდა გაიაროს. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ადამიანები სწორედ იმიტომ სჩადიან, დანაშაულს, რომ ისინი საზოგადოებაში ვერ მკვიდრდებიან.

მსჯავრდებულის რესოციალიზაციის საკითხს ეხება პატიმრობის კოდექსის 116-ე მუხლი, რომლის თანახმად: „მსჯავრდებულის რესოციალიზაცია არის მსჯავრდებულში საზოგადოების, სხვა ადამიანების, ზნეობის ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება. მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ძირითადი საშუალებებია: ა) სასჯელის მოხდა დადგენილი წესის შესაბამისად; ბ) სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება; გ) აღმზრდელობითი მუშაობა არასრულწლოვანთა მიმართ; დ)

<sup>23</sup> მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი, 2011, გვ. 44.

<sup>24</sup> ი. ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016, გამომცემლობა “მერიდიანი“, გვ. 85.

მსჯავრდებულთა დასაქმება; ე) ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღება; ვ) საზოგადოებასთან ურთიერთობა. მსჯავრდებულის რესოციალიზაციის საშუალებები გამოიყენება დანიშნული სასჯელის სახის, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, მსჯავრდებულის პიროვნების, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და ქცევის გათვალისწინებით. მსჯავრდებულის რესოციალიზაციას დეპარტამენტი და პენიტენციური დაწესებულებები უზრუნველყოფენ სოციალური მუშაკებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სხვა პირების მეშვეობით.“<sup>25</sup>

პროფესორი მორის შალიკაშვილი ასე განმარტავს რესოციალიზაციის ცნებას: რესოციალიზაცია არის სოციალური სახელმწიფოს პრინციპით მოცული მსჯავრდებულის უფლება, ხელახლა დაბრუნდეს საზოგადოებაში, მსჯავრდებულის შანსი განმეორებით მიიღოს მონაწილეობა სოციალიზაციის პროცესში და სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, შექმნას საკმარისი პროგრამები და ინიციატივები დამნაშავის გამოსასწორებლად, რათა დაცულ იქნეს საზოგადოებრივი წესრიგი.<sup>26</sup>

რესოციალიზაციის პროცესი შეიძლება დავყოთ ორ ეტაპად: 1) რესოციალიზაცია სასჯელის მოხდის პროცესში 2) რესოციალიზაცია სასჯელის მოხდის შემდეგ.

სახელმწიფომ ციხის პირობებში მსჯავრდებულს უნდა შეუქმნას ყველა პირობა, რათა იგი საზოგადოებას დაუბრუნდეს პასუხისმგებლობით აღსავსე მოქალაქე. აქვე უნდა გამოვეყოთ პაემნის უფლება, რომელიც განიხილება მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტად, იმდენად რამდენადაც იგი მსჯავრდებულს აძლევს ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან კომუნიკაციის საშუალებას. აგრეთვე, სასჯელის მოხდის პროცესში, გასათვალისწინებელია ჰიგიენური პირობები, ტანსაცმელი, კვება, თავისუფალი დრო, სამუშაო, ჯანმრთელობაზე ზრუნვა. - ეს ყოველივე სათანადოდ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი შესაბამისი სტრუქტურების მიერ!

- რაც შეეხება სასჯელის მოხდის შემდგომ რესოციალიზაციის განხორციელებას - შეიძლება ითქვას, რომ მეორე ეტაპი იწყება სწორედ სასჯელისგან გათავისუფლების პირველსავე დღეს. გერმანული სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ გათავისუფლების შემდეგ პირველი დღე ყველაზე კრიტიკულია რეციდივის თვალსაზრისით. ამ მომენტიდან, ყოფილი მსჯავრდებული დგება უამრავი პრობლემის წინაშე, მათ შორის ყველაზე მწვავეა ფინანსური პრობ-

---

<sup>25</sup> <https://gvantsataruashvili.wordpress.com/> სასჯელის მიზნები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში

<sup>26</sup> მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, მ. ხასია, სასჯელადსრულების სამართალი, თბილისი 2014, გვ. 81

ლემები (დასაქმების საკითხი). თუ იგი აღნიშნულ საკითხებს ვერ გადაჭრის, წარმოიშობა დიდი რისკი და ალბათობა მის მიერ დანაშაულის კვლავ ჩადენისა. ამიტომაც, აუცილებელია სასჯელ-მოხდელი პირის მინიმალური ფინანსური უზრუნველყოფა.

ნებისმიერი დამნაშავე არის საზოგადოების წევრი (დამნაშავეს პიროვნება მის მიერ ჩადენილ დანაშაულზე არ დაიყვანება)<sup>27</sup>, მას აქვს დაბადებითი უფლებები და მის მოქმედებაზე პასუხისმგებლობა საზოგადოებასა და სახელმწიფოსაც ეკისრება. ყოველი ადამიანი არ არის დაბადებით დამნაშავე, მას ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე სხვადასხვა გარემოებანი უბიძგებს დანაშაულისაკენ. შესაძლოა, იგი გარკვეულმა ზემოქმედებამ შემოაბრუნოს მისთვის და საზოგადოებისათვის სასარგებლო ცხოვრებისაკენ. ამისათვის სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ადამიანის ღირსეული არსებობისათვის აუცილებელი პირობები, ხოლო დამნაშავესთვის განახორციელოს გარკვეული პროგრამა, რომელიც მის რეინტეგრაციას ხელს შეუწყობს. საზოგადოება კი უნდა იყოს შემწყნარებელი.

ამგვარად, სისხლისსამართლებრივი სასჯელის მიზნები, რომლებიც სისხლის სამართლის კანონში ამომწურავად არის ფორმულირებული, არ შეიძლება ერთმანეთისაგან მოწყვეტით განიხილებოდეს, რადგან ისინი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არის. თეორიულ ან პრაქტიკულ სიბრტყეზე, მათი ინდივიდუალური განხილვა-გაანალიზება სასჯელს, როგორც უკიდურეს სისხლის-სამართლებრივ ღონისძეებას, თავის აზრს უკარგავს. სასჯელი თავის ფუნქციას ამომწურავად მხოლოდ სამივე მიზნის მიღწევის შემდეგ ასრულებს.<sup>28</sup>

## თავი III. არასაპატიმრო სასჯელთა სისტემა

### 3.1. არასაპატიმრო სასჯელთა სამართლებრივი რეგულირება

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ისე როგორც კონკრეტული ქმედების დანაშაულად გამოცხადებისას, სასჯელთა სახის განსაზღვრის შემთხვევაშიც მკაცრად იცავს კანონ-

---

<sup>27</sup> გ.ნაჭყებია, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, 2015, თავი მეოთხე, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი, გვ.100

<sup>28</sup> მ. ქათამაძე, სასჯელის მიზნები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, აღმანახი 2004 №19 სისხლის სამართალი (III)

ნიერების პრინციპს და გამორიცხავს სისხლის სამართლის სანქციის ამოქმედებისას ანალოგიის გამოყენების შესაძლებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველგვარი ზემოქმედების ძალა დაეკარგებოდა სასჯელის ზოგად პრევენციას, რადგან მოქალაქეს არ ეცოდინებოდა წინასწარ, თუ რა უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა მოჰყვება მის დანაშაულებრივ ქმედებას. ამასთან, სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში ადამიანმა წინასწარ უნდა იცოდეს (იდეაში მანიც), მის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის რა ფარგლებში დაეკისრება პასუხისმგებლობა.<sup>29</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ისევე როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში სასჯელები სისტემატიზებულია და დალაგებულია სიმძიმის ზრდის მიხედვით. სსკ-ის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მეორე წინადადებაში მითითებულია, რომ „სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ როდესაც ნაკლებად მკაცრი სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას.“<sup>30</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ცალკე თავს უთმობს იურიდიული პირისათვის დადგენილ სასჯელებს.

სსკ-ის 40-ე მუხლში განსაზღვრულია სასჯელის სახეები, რომლებიც შეიძლება დაენიშნოს 18 წლის ასაკს მიღწეულ პირს:

- ა) ჯარიმა;
- ბ) თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;
- გ) საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა;
- დ) გამასწორებელი სამუშაო;
- ე) სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა;
- ვ<sup>1</sup>) შინაპატიმრობა;
- ი) ქონების ჩამორთმევა;
- ზ) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა;
- თ) უვადო თავისუფლების აღკვეთა;
- ი) ქონების ჩამორთმევა;
- კ) იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა.

---

<sup>29</sup> ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები). თბილისი. 2013. გვ. 38

<sup>30</sup> იხ. სქოლიო N29 გვ.38

სსკ-ის 107<sup>3</sup> მუხლი ასახელებს იმ სასჯელის სახეებს, რაც შეიძლება იურიდიულ პირს დაენიშნოს:

- ა) ლიკვიდაცია;
- ბ) საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;
- გ) ჯარიმა;
- დ) ქონების ჩამორთმევა;

რაც შეეხება არასრულწლოვანთა მიმართ გამოსაყენებლ სასჯელის სახეებს აღნიშნული მოცემულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 66-ე მუხლში.

- ა) ჯარიმა;
- ბ) შინაპატიმრობა;
- გ) საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;
- დ) საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა;
- ვ) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.

ზემოთ ჩამოთვლილი სასჯელები იყოფა ძირითად და დამატებით სასჯელებად, მათგან ზოგიერთ მხოლოდ ძირითადი სასჯელის სტატუსი აქვს, ზოგიერთს მხოლოდ დამატებითი, ხოლო ზოგიერთს ორივე. აღსანიშნავია, რომ ძირითად სასჯელთან ერთად პირს შეიძლება დაენიშნოს რამდენიმე დამატებითი სასჯელი ერთად, ამასთან დაუშვებელია მხოლოდ დამატებითი სასჯელის დანიშვნა.

სასჯელის პირობით ვადამდე გათავისუფლება გამოიყენება მხოლოდ ძირითადი სასჯელის მიმართ.

### 3.2. ჯარიმა

**ჯარიმა** - სსკ-ის 42-ე მუხლი. სასჯელის აღნიშნული სახე მსოფლიოს სხვადასხვა განვითარებულ ქვეყანაში გამოიყენება საკმაოდ აქტიურად და ითვლება ეფექტურად სხვადასხვა გარემოებათა გამო. პირველი და უმნიშვნელოვანესი არის ის, რომ აღნიშნული სასჯელის ძირითად სასჯელად დანიშვნის შემთხვევაში და მაშინ, როცა ის დამატებით სასჯელად ინიშნება არასაპატიმრო სასჯელთან ერთად არ ხდება დამნაშავეს საზოგადოებიდან მოწყვეტა, რაც წინაპირობაა დამნაშავეს რესოციალიზაციის<sup>31</sup>. ჯარიმის დანიშვნის შემთხვევაში სახელმწიფო იღებს სარგებელს, ხოლო

---

<sup>31</sup> ი. დვალიმე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები). თბილისი. 2013.

იმის გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებულის მდგომარეობას ასუსტებს ეკონომიკური თვალსაზრისით აქვს პრევენციული სახე, სახელმწიფოს მხრიდან დამნაშავეზე არ იხარჯება რესურსი. ჯარიმის მინიმალური ოდენობაა 2000 ლარი, იმ შემთხვევაში თუ დანაშაულის სანქცია სასჯელად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3 წელზე მეტი ვადით, ხოლო თუ ნაკლები მაშინ მინიმალური ოდენობაა 500 ლარი.

ჯარიმის დანიშვნისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს როგორც დანაშაულის სიმძიმე ისე მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობა. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში პირდაპირ არის მითითებული, თუ რას უნდა მიეცეს ყურადღება მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის შეფასებისას. ესენია: ქონება, ე.ი. ის მატერიალური ფასეულობა, რაც უკვე არსებობს ბრალდებულის საკუთრებაში; შემოსავალი, ე.ი. ის ქონებრივი სარგებელი, რომელიც მსჯავრდებულმა უნდა მიიღოს მომავალში. მაგალითად, ხელფასი, სოფლის მეურნეობიდან თუ სხვა საშემოსავლო წყაროებიდან მისაღები მატერიალური სარგებელი, რაც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ აღნიშნული წყაროებიდან ქონებრივი შემოსავალი ალბათობის მაღალი ხარისხით მსჯავრდებულის საკუთრებას შეაქვს. ბუნებრივია, აქ არ იგულისხმება ჯარიმის შეფარდების ის შემთხვევა როდესაც ჯარიმა არ ინიშნება ისეთ სასჯელთან ერთად, რომლის ბუნება გამორიცხავს მსჯავრდებულისათვის შემოსავლის მიღებას. მაგალითად თუ ძირითადი სასჯელის სახედ დანიშნულია თავისუფლების აღკვეთა, მაშინ შეუძლებელია შემოსავლის წყაროდ მის მსჯავრდებამდე სამუშაო ადგილი მივიჩნიოთ. სულ სხვა ვითარებასთან გვექნება საქმე თუ მსჯავრდებული ქონებრივ სარგებელს იღებს ისეთი წყაროებიდან, სადაც მისი პიროვნული შრომა განმსაზღვრელი არ არის. ამასთან, აქ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოვიაზროთ ისეთი საშემოსავლო წყაროები, რომლებიც მხოლოდ მცირე ვარაუდის საფუძველზე გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ ქონება შეიძლება ამ წყაროებიდან შეივსოს. მაგალითად, გამოძიებისთვის ცნობილი გახდა, რომ მსჯავრდებულს უყვარს ტოტალიზატორში თამაში ან სავარაუდოა, რომ მას შეიძლება მემკვიდრეობით გარკვეული ქონება ერგოს და ა.შ.<sup>32</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა ყველა ადამიანს აქვს უფლება იცოდეს თუ რა უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა მოჰყვება მის დანაშაულებრივ ქმედებას, მაგრამ საქართველოს სსკ-ის

---

<sup>32</sup> ი. დვალაძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები). თბილისი. 2013. გვ. 43-44.

42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად ჯარიმა დამატებით სასჯელად შეიძლება დაინიშნოს მაშინაც, როდესაც იგი დამატებით სასჯელად არ არის გათვალისწინებული შესაბამის მუხლში.

ზემოაღნიშნული ნორმა ცხადყოფს, რომ პირის მიერ კონკრეტული დანაშაულის ჩადენის სამართლებრივი შედეგი არ არის განჭვრეტადი. მოქალაქეს არ აქვს გონივრული შესაძლებლობა, წინასწარ განსაზღვროს მის მიერ ჩადენილი ქმედების სამართლებრივი შედეგები. მოქალაქისთვის შეუძლებელი რჩება იმის გარკვევა, დაეკისრება მას დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა თუ - არა.<sup>33</sup>

სისხლის სამართლის კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმა, რომელიც ადგენს ჯარიმის დაკისრებას დამატებით სასჯელად მაშინაც კი, როდესაც იგი სასჯელად გათვალისწინებული არ არის, არ შეესაბამება კანონის განჭვრეტადობის სავალდებულო მოთხოვნას. შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილი, როგორც შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი, ვერ აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს სტანდარტს ამ მიმართულებით.<sup>34</sup>

ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ განჭვრეტადობის პრინციპს გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო კიდევ უფრო აზუსტებს თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში: „კანონმდებელი ვალდებულია, თვითონ მიიღოს პრინციპული გადაწყვეტილებები სავარაუდო სამართლებრივი შედეგების სახესა და მასშტაბთან დაკავშირებით და მოსამართლეს შეძლებისდაგვარად მკაფიოდ მიუთითოს ზღვარი, რომლის ფარგლებშიც იგი იმოქმედებს. ამასთან, მოთხოვნები კანონმდებლის მიმართ მით უფრო მკაცრია, რაც უფრო ინტენსიურია ჩარევა.“<sup>35</sup>

მოცემულ შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრება სასჯელის სახით ინტენსიურ ჩარევას გულისხმობს, რაც კანონმდებელს ავალდებულებს, რომ აღნიშნული პირდაპირ განსაზღვროს თითოეული მუხლში სანქციის სახით.<sup>36</sup>

არსებული მსჯელობის ფარგლებში უნდა გამოიყოს ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ჩანაწერი საგამონაკლისო უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით.<sup>37</sup>

---

<sup>33</sup> <http://www.nplg.gov.ge> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. „ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში.“

<sup>34</sup> იხ. სქოლიო N 33.

<sup>35</sup> გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, iurgen Svabe, 2011, - 2 BvR 794/95, gv.374.

<sup>36</sup> <http://www.nplg.gov.ge> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. „ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში.“ თავი VI სანქციის სახით ჯარიმის განჭვრეტადობა. თავი VI სანქციის სახით ჯარიმის განჭვრეტადობა.

<sup>37</sup> იხ. სქოლიო N 36.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ჯარიმის მაქსიმალურ ოდენობას, რაც თავის მხრივ ასევე დიდ პრობლემასთანაა დაკავშირებული. მიმაჩნია, რომ კანონმდებელმა უნდა განსაზღვროს ჯარიმის მაქსიმალური რაოდენობა. დღეს მოქმედი კანონმდებლობით, აღნიშნული მოსამართლის დისკრეციას წარმოადგენს. მოსამართლე ვალდებულია, ისე როგორც სასჯელის სახით ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრების დროსაც დაიცვას თანაზომიერების პრინციპი. თუ მოსამართლე აღნიშნულს არ გაითვალისწინებს და სასჯელის სახით დანიშნავს ჯარიმას დიდი ოდენობით, აღნიშნული სასჯელი შესაძლოა შეიცვალოს თავისუფლების აღკვეთით. რაც, რა თქმა უნდა არ ემსახურება სასჯელის მიზნებს.<sup>38</sup>

არასრულწლოვნთა მართლმსაჯულების კოდექსის 66-ე მუხლის შესაბამისად არასრულწლოვან მსჯავრდებულსაც შეიძლება სასჯელის სახით დაენიშნოს ჯარიმა. არასრულწლოვნის მიმართ ჯარიმის დანიშვნამ არ უნდა გამოიწვიოს მოზარდის ეკონომიკური მდგომარეობის ისე გაუარესება, რომ მან ჯარიმით მიყენებული ზარალი „აანაზღაუროს“ სხვა ურო საშიში დანაშაულის ჩადენით. ამ დროს საქმე გვექნება სასჯელის გამოყენების ისეთ შემთხვევასთან, რომლებიც მოზარდის მხრიდან დანაშაულის ჩადენას შეუწყობს ხელს.<sup>39</sup>

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 68-ე მუხლიპირველი ნაწილი მოიცავს დათქმას, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვან ბრალდებულს ჯარიმა შეიძლება დაენიშნოს იმ შემთხვევაში, როც აქვს დამოუკიდებელი შემოსავალაღი, რომელიც მიღებულია კანონიერი საქმიანობიდან. ამასთან ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად არასრულწლოვნისთვის ჯარიმის დანიშვნისას, საქართველოს სსკ-ით დადგენილი ოდენობა ნახევრდება.

„კანონიერი საქმიანობიდან დამოუკიდებელი შემოსავალის“ ცნების ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს არასრულწლოვანის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი საქმიანობიდან შემოსული ქონება, რომლის ჯარიმის სახით განკარგვის/გადახდის უფლება აქვს არასრულწლოვანს. რამდენად უნდა იყოს ეს კონკრეტულად არასრულწლოვანის დამოუკიდებელი საქმიანობის დან შემოსული შემოსავალი რთული სათქმელია, 2014 წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, დანაშაულის ჩადენის დროს არასრულწლოვნების 75% არ მუშაობდა და არ სწავლობდა. ქვეყანაში არსებული მაღალი უმუშევრობის ფონზე, როდესაც ზრდასრულ ადამიანებს

---

<sup>38</sup> ი. ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016, გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 173.

<sup>39</sup> მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი, თბილისი 2011, გვ. 70.



უჭირთ გრძელვადიანი სამუშაოს პოვნა, შეუძლებელია არასრულწლოვანს მოსთხოვო, რომ მას ჰქონდეს დამოუკიდებელი შემოსავალი, რომლითაც ის ჯარიმას გადაიხდის. ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია ვეღარ იქნეს გამოყენებული ჯარიმა როგორც სასჯელის სახე. შეიძლება არასრულწლოვანს არ ჰქონდეს თავისი დამოუკიდებელი შემოსავალი, თუმცა მისთვის მშობლების მიერ მიცემული ჯიბის ფულიდან მოახდენს იგი მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას.<sup>40</sup> ასე, რომ ამკ-ს 68-ე მუხლის პირველი ნაწილის ჩანაწერში ნახსენები „დამოუკიდებელი შემოსავალის“ ქვეშ არ იგულისხმება მხოლოდ არასრულწლოვანის მიერ განხორციელებული კონკრეტული დამოუკიდებელი სამუშაოდან/სამსახურიდან გამომდინარეებული თანხა.

ჯარიმის შეფარდების დროს აუცილებელია გათვალისწინებული იყოს არასრულწლოვანის ეკონომიკური მდგომარეობა, ბრალეულობის ხარისხი და მიყენებული ზიანის პროპორციულობა.<sup>41</sup> ჯარიმის ოდენობა იმ შემთხვევაშია უკანონო, როდესაც აშკარაა შეუსაბამობა არასრულწლოვანის ეკონომიკურ მდგომარეობასა, ბრალეულობის ხარისხსა და შეფარდებულ ჯარიმის ოდენობას შორის.<sup>42</sup>

არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურება, თავის მხრივ, გულისხმობს არასრულწლოვანთათვის, სრულწლოვნებთან შედარებით, სასჯელის დაკისრების განსხვავებულ ფორმებს. ჯარიმის, როგორც სასჯელის, გამოყენების შემთხვევაში არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურება არ არის გათვალისწინებული, ანუ არასრულწლოვანთა დასჯა (ჯარიმის დაკისრება) ხდება მსგავსი საკანონმდებლო წესით და ფორმით, რომელიც გათვალისწინებულია სრულწლოვანი პირებისათვის, რაც სავსებით არ შეესაბამება კანონმდებლის მიერ აღიარებულ არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებათა ზოგად პრინციპებს. ჯარიმის დაკისრების დროს განსახვავება მხოლოდ ჯარიმის გადახდის ოდენობაში.<sup>43</sup>

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებულ სასჯელის მიზანთა შორის, არასრულწლოვანთა ზემოთ განხილული მდგომარეობის გათვალისწინებით, მოზარდისათვის სასჯელის (მათ შორის ჯარიმის) დაკისრების უპირველესი მიზანი უნდა იყოს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, იმის მიუხედავად, რომ ჯარიმის აღმზრდელობითი

---

<sup>40</sup> მ. კოპალეიშვილი, 2013. გვ. 303.

<sup>41</sup> Meier, B-D./Rosaner, D./Schoch, H., 2013, S. 201: Diemer, H./Schatz, H. A./Sonnen, B-R. 2011 S, 127,

<sup>42</sup> Dimmer, H Schnitz, H, A. Soffict, B-, 2011. S. 127.

<sup>43</sup> მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, მ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი 2014, გვ. 133

ეფექტი ძალიან დაბალია.<sup>44</sup> მოზარდზე ფსიქოლოგიური ეფექტიანობა, მისი გამოსწორება-აღზრდის თვალსაზრისით, უფრო გამართლებულია, თუ იგი ჯარიმას გადაუხდიდა არა სახელმწიფო ორგანოს, არამედ ბავშვთა სახლებს ან სხვა ისეთ საქველმოქმედო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომელთა საქმიანობა საზოგადოებრივი კეთილდღეობისაკენ არის მიმართული<sup>45</sup> და მას შეეძლებოდა ენახა მის მიერ გადახდილი ჯარიმის კონკრეტული შედეგი (ბავშვთა სახლებისათვის შეძინა საჭირო ინვენტარი).<sup>46</sup> აღნიშნულით ხელი შეეწყობოდა დამნაშავე მოზარდისა და საზოგადოების ურთიერთობის აღდგენა-გამდიერებას, მოზარდის მიმართ ინდივიდუალურ მიდგომას, რაც მასზე დადებითი ზემოქმედების გაცილებით ეფექტური საშუალება იქნებოდა.<sup>47</sup> მოზარდს არ უნდა გაუჩნდეს იმის განცდა, რომ ფულით ყველაფრის მოგვარება შეიძლება.<sup>48</sup>

გარდა ამისა, ჯარიმამ არ უნდა გამოიწვიოს მოზარდის ეკონომიკური მდგომარეობის ისე გაუარესება, რომ მან ჯარიმით მიყენებული ზარალი „აინაზღაუროს“ (კომპენსაცია) სხვა (უფრო საშიში) დანაშაულის ჩადენით. ამ დროს საქმე გვექნება სასჯელის გამოყენების ისეთ შემთხვევასთან, რომელიც მოზარდის მიერ დანაშაულის ჩადენას შეუწყობს ხელს.<sup>49</sup>

დანიშნული ჯარიმის აღსრულებისას შეიძლება, წარმოიშვას გარკვეული სახის პრობლემები, რაზეც ქვემოთ იქნება ყურადღება გამახვილებული, ასეთ შემთხვევაში კი სასამართლოს უფლება აქვს ჯარიმა შეცვალოს შემდეგი სასჯელებიდან ერთ-ერთით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით, გამასწორებელი სამუშაოთი, შინაპატიმრობით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთანავე, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩათვლება საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის, გამასწორებელი სამუშაოს ან შინაპატიმრობის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: დაკისრებული ჯარიმის 50 ლარი – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ოთხი საათი, გამასწორებელი სამუშაოს ერთი დღე, შინაპატიმრობის ერთი დღე. ამასთანავე, ჯარიმის ნაცვლად დანიშნული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომისათვის, გამასწორებელი სამუშაოსათვის ან შინაპატიმრობისათვის ბოროტად თავის არიდების შემთხვევაში იგი შეიცვლება თავისუფლების აღკვეთით, ამ კოდექსით სასჯელის ამ სახისათვის გათვალისწინებულ ფარგლებში და დადგენილი წესით.

---

<sup>44</sup> Meier, B-D/Rossner, D/Trug, G/Wulf, R., 2014 S. 191.

<sup>45</sup> Meier, B-D/Rossner, D/Trug, G/Wulf, R., 2014 S.192.

<sup>46</sup> იხ. სქოლიო N45. გვ. 2013. S.

<sup>47</sup> მ.მოსულიშვილი, კანონიერება-სამართლის ერთ-ერთი პრინციპი, 2000, გვ. 83.

<sup>48</sup> იხ. სქოლიო N45. გვ. 191.

<sup>49</sup> მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, მ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი 2014, გვ. 133-134.

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 23 იანვრის განაჩენით ვ. ლ ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. საქამის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით 2017 წლის 5 ნოემბერს, დაახლოებით 15:10 საათზე, ქ. თბილისში დ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, ვ. ლ-მ, ურთიერთშელაპარაკების დროს რ. ქ-ს სახის არეში დაარტყა ხელი, რის შედეგადაც რ. ქ-მ განიცადა ფიზიკური ტკივილი და მიიღო ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება, ჯანმრთელობის მოუშლელად. სასამართლომ მიაჩნია, რომ ბრალდებულის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობისა და მისი მეუღლისა და შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, მსჯავრებულოს უნდა შეეფარდოს ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, რაც სრულად უზრუნველყოფს სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავის რესოციალიზაციას.<sup>50</sup>

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 07 ნოემბრის განაჩენით ნ. ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით და სსკ-ის 128-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ნ. ა-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით. მასვე საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის თანახმად, ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება 3 (სამი) წლის ვადით.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით 2016 წლის 15 ივნისს, დაახლოებით 23:20 საათზე, ქ. თბილისში, დ, ახალდაბის მხრიდან ბაგების მიმართულებით მოძრაობდა თ. დ, თავისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომობილით „VOLVO S40“ სახელმწიფო ნომრით A... ამასთანავე, დ-სთან, საქართველოს ფოსტის შენობის წინ, ნ. ა-მ, რომელიც მოძრაობდა თავისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომობილით „Toyota Vitz“, სახ. ნომრით W... „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით, გზის მარჯვენა ნაპირიდან მოუხვია მარცხნივ, გადაკვეთა ღერძულა ხაზი და შევიდა ბაგების მიმართულების სამოძრაო ზოლში და შესვლის შემდეგ სავალ ნაწილზე გაჩერდა, რა დროსაც მასზე შეჯახების თავიდან აცილების მიზ-

---

<sup>50</sup> <http://ecd.court.ge/> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 23 იანვრის განაჩენი.

ნით, ამავე მიმართულებით მოძრაობა მძღოლმა თ. დ-მ, ავტომობილის საჭე მიმართა მარცხნივ, გადავიდა გზის სავალი ნაწილიდან და შეეჯახა ხეს. შეჯახების შედეგად, თ. დ-მ მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ხოლო მისმა მგზავრმა შ. მ-მ - ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

სასაჯელის ნაწილში დასაბუთებისას სასამართლო მიუთითებს, რომ რომ ბრალდებული არაა სასამართლევი და ჰყავს 2 არასრულწლოვანი შვილი, მის მიმართ საპატიმრო სასჯელის გამოყენება სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია, ვინაიდან არასაპატიმრო სასჯელის - ჯარიმის პირობებშიც მიღწეული იქნება საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნების (ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია) შესრულება. რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენას, რაშიც მოიაზრება ისეთი ადეკვატური სასჯელის განსაზღვრა, რამაც დაზარალებულის უფლებების დარღვევის კომპენსირება უნდა მოახდინოს, ამ მხრივ სასამართლო ყურადღებას მიაქცევს დაზარალებულ თ.-ის განმარტებას იმის თაობაზე, რომ ითხოვს არა ვინმეს მკაცრად დასჯას, არამედ მატერიალურ დახმარებას მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების მიზნით, აღნიშნული მიზნის მიღწევა კი შესაძლებელია სამოქალაქო სამართალწარმოების გზით და 2 არასრულწლოვანი ბავშვის დედის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსება, არ უნდა იქცეს დაზარალებულის ხელში ზემოქმედების დამატებით ბერკეტად ზიანის ანაზღაურების კონტექსტში. სასამართლოს მიაჩნია, რომ ნ. ა-ს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება უნდა ჩამოერთვას მაქსიმალური, 3 (სამი) წლის ვადით.<sup>51</sup> აღნიშნული მსჯელობით ცალსახად ჩანს, რომ სასამართლო ითვალისწინებს ყველა იმ გარემოებას, რომელთა გათვალისწინებითაც მსჯავრდებულს განესაზღვრება სამართლიანი და ადეკვატური სასჯელი და შესაბამისად მიღწეულ იქნება სასჯელის მიზნები.

### 3.3. თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა

თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა - ძირითად სასჯელად ინიშნება 1-დან 5 წლამდე ვადით ხოლო დამატებით სასჯელად 6 თვიდან 3 წლამდე ვადით. აღნიშნული დამატებით სასჯელად შეიძლება დაინიშნოს მაშინაც, როცა კონკრეტული მუხლის სანქცია არ ითვალისწინებს. ისევე, როგორც ჯარიმის შემთხვევაში ზემოაღნიშნული ნორმაც ცხადყოფს, რომ პირის მიერ კონკრეტული დანაშაულის ჩადენის სამართლებრივი შედეგი არ არის განჭვრეტადი.

---

<sup>51</sup> <http://ecd.court.ge/> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 07 ნოემბრის განაჩენი.

მოქალაქეს არ აქვს გონივრული შესაძლებლობა, წინასწარ განსაზღვროს მის მიერ ჩადენილი ქმედების სამართლებრივი შედეგები. მოქალაქისთვის შეუძლებელი რჩება იმის გარკვევა, დაეკისრება მას დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა თუ - არა. სასამართლო ასეთ შემთხვევაში სამ ძირითად გარემოებას აქცევს ყურადღებას:

- დანაშაულის საშიშროების ხასიათი.
- დანაშაულის საშიშროების ხარისხი.
- დამნაშავის პიროვნება.<sup>52</sup>

თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სახელმწიფო გამორიცხავს მსჯავრდებულის თანამდებობასთან ან საქმიანობასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანაშაულებრივ საქმიანობას. ასევე, შესაძლებელია, დანაშაული პირდაპირ არ იყოს დაკავშირებული მის დანაშაულებრივ საქმიანობასთან, მაგრამ მისი შემდგომი თანამდებობაზე დატოვება ან წინანდელი საქმიანობის გაგრძელება მიზანშეწონელი იყო.<sup>53</sup>

კანონის ასეთი ფორმულირება, როდესაც კანონი საუბრობს დანაშაულის საშიშროების ხასიათსა და ხარისხზე, მართებული იურიდიული თერმინების თვალსაზრსით, გულისხმობს შემდეგს: (1) კონკრეტულად რა ტიპის დანაშაულია ჩადენილი, (2) როგორია მისი სოციალური საშიშროება (უმართლობის ხარისხი) და (3) როგორია ბრალის ხარისხი. სამივე წარმოდგენილი გარემოება უადვილებს კანონშემფარდებელს გაარკვიოს კანონმდებლის ნება. მაგალიტად, ძიძამ, რომელმაც 5 წლის ბავშვი სცემა, შეიძლება სასჯელად დაენიშნოს საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, რაც გამოიხატა ძიძად მუშაობის აკრძალვაში. ასეთ საქმეებზე მოცემული სასჯელის დანიშვნის დასასაბუთებლად სასამართლოს შეუძლია მიუთითოს თვითონ დანაშაულის ტიპზე, რადგან ბავშვის ცემა (სსკ-ის 125-ე მუხლის მე-2 ნაწილი) ძიძის მიერ ამართლებს ასეთი სასჯელის შეფარდებად. თუმცა შესაძლებელია, არც დაინიშნოს, რადგან, თუ დანაშაულის ტიპზე დაკვირვებთ ზოგადად საბუთდება აღნიშნული სასჯელის გამოყენების მართებულობა, ჩადენილი ქმედების სოციალურმა საშიშროებამ შეიძლება არ დაასაბუთოს ამგვარი სასჯელის შეფარდების მართებულობა.<sup>54</sup>

რაც შეეხება დამნაშავის პიროვნებას, სასამართლო, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, აქ ყურადღებას ამახვილებს დამნაშავის ტემპერამენტზე, ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე,

---

<sup>52</sup> ი. დვალიძე. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები). თბილისი. 2013. გვ. 46.

<sup>53</sup> იხ. სქოლიო N52. გვ.45.

<sup>54</sup> ი. დვალიძე. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები). თბილისი. 2013.. გვ. 46-47.

მის წარსულზე, პასუხისმგებლობასა და დაკისრებული მოვალეობისადმი დამოკიდებულებაზე მის ღირებულებათა წყობაზე და ა. შ. ასე, რომ თუ თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა დამატებით სასჯელად ინიშნება, როდესაც დაწესებულ კონკრეტულ სანქციაში ამის შესახებ პირდაპირ არ არის მითითებული, მაშინ ყველა აღნიშნულ გარემოებას კომპლექსურად უნდა მიექცეს ყურადღება.<sup>55</sup>

აღნიშნული სასჯელის სპეციფიკიდან გამომდინარე, კანონმდებელი პირდაპირ მიუთითებს საწყის მომენტს, რომლიდანაც უნდა მოხდეს თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ვადის ათვლა, თუკი ეს უკანასკნელი დამატებითი სასჯელის სახითაა გამოყენებული. აქ, სსკ-ის 43-ე მუხლს მე-4 ნაწილის მიხედვით, ორი შემთხვევა უნდა განვასხვავოთ:

1) თუ ძირითად სასჯელად დანიშნულია საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, შინაპატიმრობა ან გამასწორებელი სამუშაო ან გამოყენებულია პირობითი მსჯავრი, მაშინ თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ვადა გამოიანგარიშება სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან. ამგვარი მიდგომა ბუნებრივია, რადგან აღნიშნული ძირითადი სასჯელების მოხდისას მსჯავრდებული საზოგადოებისაგან იზოლირებული არ არის;

2) თუ ძირითად სასჯელად დანიშნულია თვისუფლების აღკვეთა, მაშინ თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ვადა გამოიანგარიშება ძირითადი სასჯელის მოხდის მომენტიდან. აღნიშნული ძირითადი სასჯელის მოხდის ვადის განმავლობაშიც მსჯავრდებულზე რასაკვირველია, ვრცელდება თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის მოქმედება.<sup>56</sup>

მოვიყვანოთ მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 27 თებერვლის განაჩენით ტ. დ დამნაშავედ იქნა ცნობილი 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით. კერძოდ სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2015 წლის 18 სექტემბერს, დაახლოებით 22:35 საათზე ქ.თბილისი, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე „სიონის ტაძრის“ მიმდებარედ, ავტომანქანის მძღოლმა - ტ. დ-მ ვერ უზრუნველყო ავტომობილის უსაფრთხო მართვა, დაარღვია „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები და შედეგად დაეჯახა ქვეითად მოსიარულე ვ. გ-ს, რომელიც მიღებული დაზიანებების გამო შემთხვევის ადგილზე

---

<sup>55</sup> იხ. სქოლიო N54. გვ.47.

<sup>56</sup> ი. დვალიძე. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები). თბილისი. 2013. გვ. 47-48.

გარდაიცვალა. სასამართლომ ტ. დ-ს სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) წლით. მასვე აქართველოს სს კ-ის 43-ე მუხლის თანახმად, 2 (ორი) წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება. სასამართლომ ამ შემთხვევაში სასჯელის დანიშვნისას კანონის მოთხოვნის შესაბამისად, აუცილებლად მიიჩნია ტ. დ-სთვის თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.<sup>57</sup>

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდან, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 04 დეკემბრის გადაწყვეტილებით ზ. რ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც გულისხმობდა. მითვისებას, ესე იგი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისებას, თუ ეს ნივთი იმყოფებოდა მიმთვისებლის მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით. სასამართლომ ზ. რ-ს თავისუფლების სასჯელის სახედ ზომად განუსაზღვრა თ/აღკვეთა 4 (ოთხი) წლის ვადით. მასვე, საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის საფუძველზე, 1 (ერთი) წლის ვადით ჩამოერთვა სამეწარმეო სუბიექტებში მატერიალურად პასუხისმგებელი თანამდებობის დაკავების უფლება. (2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის საფუძველზე განახევრებული სასჯელი) სასამართლომ ამ შემთხვევაშიც სასჯელის დანიშვნისას კანონის მოთხოვნის შესაბამისად, აუცილებლად მიიჩნია ზ. რ-სთვის თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.<sup>58</sup>

სხვაგვარი საქმიანობის აკრძალვა სასამართლომ შეიძლება სასჯელად გამოიყენოს, თუ ის პირდაპირ უკავშირდება მსჯავდებულის მიერ კონკრეტული დანაშაულის ჩადენას. მაგ: სამშენებლო უსაფრთხოების წესის დარღვევისათვის პირს ჩამოერთვას მშენებლობის ხელმძღვანელად მუშაობის უფლება. თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის აღსრულება ხდება საპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 თავის შესაბამისად.<sup>59</sup>

საქმიანობის უფლების ჩამორთმევას არასრულწლოვანთა მიმართ ითვალისწინებს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 70-ე მუხლიც, რომლის შინაარსის მიხედვითაც არასრულწლოვანს საქმიანობის უფლება შეიძლება ჩამოერთვას 1-დან 3 წლამდე ვადით.

---

<sup>57</sup> <http://ecd.court.ge/> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 27 თებერვლის განაჩენი.

<sup>58</sup> <http://ecd.court.ge/> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 04 დეკემბრის გადაწყვეტილება.

<sup>59</sup> ავტორთა კოლექტივი, „სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი“. თბილისი. 2016. გვ. 501.

ზოგადად, ეს სასჯელის სახე არასრულწლოვნის მიმართ სიფრთხილით უნდა იქნეს გამოყენებული. თუ არასრულწლოვანი დასაქმებულია, სასჯელის ამ ფორმის გამოყენებამ იგი ფინანსური და სოციალური პრობლემების წინაშე არ უნდა დააყენოს. შრომა და დასაქმება, არის კანონის დამრღვევის მიმართ გასატარებელი ღონისიება და არა პირიქით, კანონდამრღვევს აეკრძალოს გარკვეული საქმიანობის შესრულება. შრომამ უნდა გააკეთილშობილოს იგი.<sup>60</sup>

საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შესაძლებელია დაკავშირებული იყოს მოზარდის მიერ ჩადენილ დანაშაულთან, მაგალითად მოზარდი, რომელიც მჭედელია და ამ საქმიანობას სისტემატურად იყენებს საცხოვრებელი სახლების კარის გასაღები ეგრეთ წოდებული ატმიჩკების დასამზადებლად შესაძლებელია, აეკრძაოს სამჭედლო საქმიანობის განხორციელება.<sup>61</sup>

### 3.4. საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა

საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა ნიშნავს მსჯავრდებულის მხრიდან უსასყიდლოდ შრომას თავისუფალ დროს, რომლის სახეს განსაზღვრავს პრობაციის ბიურო. მართალია კანონში მითითებულია თავისუფალი, რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა აღსრულდება, როდესაც მსჯავრდებულს თავისუფალი დრო აქვს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მსჯავრდებულს ყოველთვის შეუძლია განაცხადოს მოუცლელობის შესახებ. საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის სახის განსაზღვრა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს, აღნიშნული სასჯელის აღსრულების დასაწყისში განსაზღვრული შრომის სახე უნდა იყოს ერთადერთი სასჯელის ბოლომდე მოხდამდე. ბუნებრივია, არა. პრობაციის ბიუროს შეუძლია მსჯავრდებულს განუსაზღვროს პირველად განსაზღვრული სამუშაოს ამოწურვის შემდეგ სხვა სახის სამუშაო.<sup>62</sup>

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ხუთ შემთხვევაში, როდესაც:

1. სასამართლო დაადგენს გამამტყუნებელ განაჩენს პირის მიერ იმ დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც საქართველოს სსკ-ს კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლი სასჯელის სახედ ითვალისწინებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას;

---

<sup>60</sup> მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, მ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი 2014, გვ. 140-141.

<sup>61</sup> მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, მ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი 2014, გვ. 141.

<sup>62</sup> ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები). თბილისი. 2013. გვ. 48-49.



2. სასამართლო დაადგენს გამამტყუნებელ განაჩენს პირის მიერ იმ დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც საქართველოს სსკ-ს კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლი სასჯელის სახედ არ ითვალისწინებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, თუმცა მაშინ, როდესაც სასამართლო ამ სასჯელს ნიშნავს დამატებითი სასჯელის სახედ;

3. საპროცესო შეთანხმების გაფორმების დროს საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე, როდესაც ძირითადი სასჯელის სახედ ინიშნება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, მაშინ, როდესაც საქართველოს სსკ-ს კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლი სასჯელის სახედ არ ითვალისწინებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას;

4. მსჯავრდებული თავს აარიდებს ჯარიმის გადახდას ან თუ გადახდევინება შეუძლებელია (საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილი);

5. საქართველოს სსკ-ის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს შეუძლია მსჯავრდებულს, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს თავისუფლების აღკვეთა, გარდა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულებისა, სასჯელის მოხდის დროს მისივე თანხმობით შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;<sup>63</sup>

საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის სასჯელის სახით დანიშვნის შემდეგ მსჯავრდებულის მხრიდან დაკისრებული მოვალეობის შესრულების შემთხვევაში, რომელზეც ზედამხედველობას ახორციელებს პრობაციის ბიურო, ეს უკანასკნელი წარდგინებით შემოდის სასამართლოში საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის სხვა სასჯელით შეცვლის თაობაზე. სსკ-ის 44-ე უხლი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს ვისაც არ უნდა დაენიშნოს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა. ესენი არიან: პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები, ორსული ქალები; ქალები რომელთაც ყავთ შვიდ წლამდე შვილი, საპენსიო ასაკის პირებს, გაწვეულ სამხედრო მოსამსახურეებს.

შრომის სახე, რეკომენდებულია, არ იყოს დაკავშირებული მსჯავრდებულის ძირითად საქმიანობასთან, რითაც ის სარგებელს იღებს. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ნაკლებეფექტური იქნება. შესაძლებელია, მსჯავრდებულმა საკუთარი პროფესიის შესაბამისი უსასყიდლო შრომა განახორციელოს, მაგრამ მთავარია, რომ ეს არის უსასყიდლო. საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, რასაკვირველია, არ გულისხმობს ისეთი

---

<sup>63</sup> მ. დავითაძე, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N3, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენება და მისი კანონისმიერი შეზღუდვები. თბილისი 2017. გვ. 82.

სამუშაოების შესრულებას, რომელიც ადამიანის ფიზიკურ ტანჯვას იწვევს ან ღირსების შემლახავია. სისხლის სამართალში ეს პრინციპული ხასიათის მოთხოვნაა, რომელზეც გამახვილდა უკვე ყურადღება სასჯელის მიზნებზე საუბრისას. თუ მსჯავრდებული ასრულებს ისეთ სამუშაოს, რომელიც, გარკვეულწილად, იწვევს საზოგადოებისგან მოწყვეტას, რაც აბრკოლებს საკვების შოვნას, სამედიცინო მომსახურებას მსჯავრდებულისთვის ან სავალდებულოა სპეციალური აღჭურვილობა ან ტანსაცმელი მაშინ სახელმწიფო თავის თავზე იღებს ასეთ ხარჯებს.<sup>64</sup>

მართალია, კანონი კრძალავს იმ ქალისთვის საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნას, ვისაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი, მაგრამ, გარკვეულ შემთხვევაში, შესაძლებელია, მასაც დაენიშნოს სასჯელის ეს სახე. კანონმდებლის მიზანია ზემოაღნიშნული შეზღუდვით უზრუნველყოს ბავშვის ნორმალური განვითარება, რომლის ერთ-ერთი წინაპირობა დედის ან მისი გამზრდელი ქალის (მაგალითად, როდესაც ბავშვი ნაშვილებია) უშუალო მზრუნველობითა და სიყვარულით აღზრდაა. სწორედ ამიტომ, თუკი იქნება ისეთი შემთხვევა, როდესაც ბავშვი დედასთან ან გამზრდელ ქალთან არ იზრდება, არც უკანონო და არც უსამართლო არ იქნება მისთვის საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის შეფარდება. ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით გამართლებული იქნება, მაშინ როდესაც საანქციის ფარგლებში, ყველაზე მსუბუქ ალტერნატიულ სასჯელადაა გათვალისწინებული.<sup>65</sup>

განსხვავებული მოსაზრება განვითარებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 15 ნოემბრის განაჩენში, რომლის თანახმადაც თ. ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლია 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 თვე თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების შესაბამისად ჩაეთავალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით. სასამართლოს მიღებული გადაწყვეტილება სასჯელის ნაწილში, გარკვეულწილად მოტივირებული იყო იმ გარემოებით, რომ მსჯავრდებული იყო მე-2 ჯგუფის ინვალიდი.<sup>66</sup>

ამდენად, იმ პირობებში, როდესაც იხილება სისხლის სამართლის საქმე, დანაშაულისთვის რაც გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით, რომლისთვისაც სასჯელის სახედ გათვალისწინებულია მხოლოდ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ან თავი-

---

<sup>64</sup> ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები). თბილისი. 2013. გვ. 49-50.

<sup>65</sup> ი. დვალიძე. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები). თბილისი. 2013. გვ. 50-51.

<sup>66</sup> <http://ecd.court.ge/> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 15 ნოემბრის განაჩენი საქმეზე N1/3078-16.

სუფლების აღკვეთა, ჰუმანურობის პრინციპიდან გამომდინარე, საქართველოს სსკ-ის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილში ჩამოთვლილ „ჯგუფზე“ მიკუთვნება არ და ვერ უნდა გახდეს, სასამართლოს მიერ აღნიშნული სასჯელის გამოყენებაზე უარის თქმის საფუძველი, რამეთუ კანონმდებლის მიზანი ნამდვილად არის ჩამოთვლილ პირთათვის შეღავათის დაწესება, მათი ასაკის, ჯანმრთელობის ან სოციალური სტატუსიდან გამომდინარე, თუმცა ფაქტია, რომ კანონში ჩანაწერი იმგვარად იქნა გაკეთებული, რომ პრაქტიკაში შექმნა რიგი პრობლემები.<sup>67</sup>

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას, როგორც არასრულწლოვანთა მიმართ დასანიშნი სასჯელის სახეს ითვალისწინებს საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომლის 71-ე მუხლი შესაბამისად არასრულწლოვანს შესაძლოა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა დაენიშნოს 40-დან 300 საათამდე ვადით, ამასთანავე კანონი ითვალისწინებს დათქმას, რაც გულისხმობს იმას, რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა ყოველდღიურად არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს. აღნიშნული სასჯელის სახის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ამ დროს არ ხდება არასრულწლოვნის საპატიმრო დაწესებულებაში ყოფა, შესაბამისად იგი არ არის მოწყვლადი საზოგადოებისადმი, ხელი არ ეშლის მის ნორმალურ განვითარებას და სასწავლო პროცესს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი პირდაპირ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნამ არ უნდა შეუშალოს ხელი არასრულწლოვნის ანაზღაურებად სამსახურში მუშაობასა და სასწავლო პროცესს.

როგორც სრულწლოვნებს ისე არასრულწლოვნებს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა შეიძლება დაეიშნოს დამატებითი სასჯელის სახით იმ შემთხვევაშიც, როცა სსკ-ის შესაბამისი მუხლით სასჯელად გათვალისწინებული არ არის.

გაეროს მინიმალური სტანდარტული წესების თანახმად, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა მოითხოვს, რომ დამნაშავემ შეასრულოს უსასყიდლო შრომა ან სპეციალური სამუშაო. ასეთი ბრძანების გამოყენებამდე სასამართლოს სჭირდება სანდო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ესეთი შრომა ხელმისაწვდომია სათანადო ზედამხედველობის ქვეშ. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა მოითხოვს დაწვრილებით მეთვალყურეობას.<sup>68</sup>

არ შეიძლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა დაკავშირებული იყოს ფიზიკურ ტვილით ან პიროვნების ღირსების შელახვასთან. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შესაძლე-

---

<sup>67</sup> სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N3, მ. დავითაძე, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენება და მისი კანონისმიერი შეზღუდვები. თბილისი 2017. გვ. 85.

<sup>68</sup> ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო)ზოგადი ნაწილი. თბილისი. 2016. გვ. 502.

ბელია განხორციელდეს დღის ნებისმიერ მონაკვეთში. სამუშაო პერიოდი მაქსიმალურად უნდა იყოს მორგებული სასჯელდადებულის ჩვეულებრივი ცხოვრების რიტმზე. ამასთან, კანონმდებლობა ადგენს, რომ მსჯავრდებულის სურვილის გათვალისწინებით შესაძლებელია სამუშაო განხორციელდეს დასვენების დღეებშიც.<sup>69</sup>

რაც შეეხება საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის მოხდის ზოგად წესსა და პირობებს, იგი რეგულირდება საქართველოს კანონით არასასპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ. კერძოდ, მას შემდეგ რაც პირს სასჯელის სახედ დაენიშნება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა-პრობაციის ბიუროს მიერ განისაზღვრება მსჯავრდებულის მიერ შესასრულებელი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახე, მთლიანი ვადა, ყოველდღიური ხანგრძლივობა, სამუშაო ადგილი, დამსაქმებლის დასახელება და მისამართი.<sup>70</sup>

მიმოვიხილოთ რამდენიმე მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 05 აპრილის განაჩენით ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა 120 (ასოცი) საათის ვადით. საქმესი არსებული გარემოებებით სასამართლომ დადგენილია, რომ 2019 წლის 2 დაახლოებით 02:00 საათიდან 03:00 საათამდე დროის მონაკვეთში, ქ. თბილისში, დ-ში, ი-მა მეუღლეს - მე-ს კისრის არეში ძლიერად მოუჭირა ხელი და ასევე, ტანისა და სახის არეში რამდენჯერმე დაარტყა ხელი, რა დროსაც მე-იმ განიცადა ფიზიკური ტკივილი. სასჯელი ნაწილში დასაბუთებისას სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ა-ს მიმართ სასჯელის განსაზღვრისას ჩადენილი ქმედების სიმძიმის, ბრალდებულის პიროვნების, შემამსუბუქებელი გარემოების გათვალისწინებით, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ბრალდებულის გამოსწორება შესაძლებელია საზოგადოებისაგან მისი იზოლაციის გარეშე და ა-ს მიმართ სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენებას შეუძლია უზრუნველყოს სასჯელის მიზნების განხორციელება. სასამართლო მიიჩნევს, რომ სასჯელის ზოგადი და სპეციალური პრევენციული მიზნების მიღწევა, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, მის მიერ დანაშაულის უარყოფითი შედეგების გააზრება, თანასწორობასა და შემწყნარებლობაზე დაფუძნებული ღირებულებების გათავისება და მსხვერპლთათვის სამართლიანობის განცდის უზრუნველყოფა შესაძლებელი იქნება ა-ს მიმართ სასჯელის სახედ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენების პირობებშიც. სასამართლო ითვალისწინებს სასჯელის ეფექტს, რაც იქნება შემაკავებელი ხასიათის და სრუ-

---

<sup>69</sup> კანონი არასასპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა წესისა და პრობაციის შესახებ.

<sup>70</sup> იხ. სქოლიო N 68. გვ. 502.

ლად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს, დამნაშავეს რესოციალიზაციას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და სამართლიანობის აღდგენას.<sup>71</sup>

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 25 მარტის განაჩენით ბ. ცნობილ იქნა დამაშავედ საქართველოს სსკ-ის 273<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 160 (ას სამოცი) საათის ხანგრძლივობით, რომლის სახესაც განსაზღვრავს პრობაციის ბიურო. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ჩამოერთვას ამავე მუხლებით გათვალისწინებული უფლებები. მსჯავრდებულის მიმართ გამოსაყენებელი სასჯელის სახესა და ზომასთან დაკავშირებით სასამართლო საკმაოდ ვრცლად მსჯელობს და განმარტავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავეს წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ. შესაბამისად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. მოცემულ შემთხვევაში, სასჯელის კონკრეტული სახისა და ზომის განსაზღვრისას სასამართლო ყურადღებას მიაქცევს სასჯელის შემსუბუქების კუთხით იმ გარემოებას, რომ ბრალდებული აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს. სასამართლო სასჯელის დანიშვნისას ყურადღებას მიაქცევს ასევე სასჯელის მიზნების რეალურად შესრულებას, რაც უკავშირდება სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დანაშაულის ჩამდენი პირის რესოციალიზაციას. სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით. დანაშაულის ყველა კონკრეტულ შემადგენ-

---

<sup>71</sup> <http://ecd.court.ge/> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 05 აპრილის განაჩენი.

ლობას აქვს კანონმდებლის მიერ განსაზღვრული კონკრეტული სანქციის ფარგლები. სასამართლო სასჯელის დანიშვნისას ითვალისწინებს არამარტო ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, არამედ დამნაშავეს პიროვნებასაც და გამოძიებასთან თანამშრომლობას. სასამართლო განმარტავს, რომ სისხლის სამართლის პრინციპები კრიმინალიზაციის პროცესის მომწესრიგებელი ნორმატიული მოთხოვნები-ა, რომელსაც საქმიანობის პროცესში როგორც კანონმდებელი, ასევე სამართალშემფარდებელი (მოსამართლე) მკაცრად უნდა იცავდეს. სისხლის სამართლის ყველა პრინციპი საქმის განმხილველი მოსამართლის საქმიანობას უნდა განსაზღვრავდეს და განსაკუთრებით, ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელის დანიშვნისას, მათ გადაწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს. მოსამართლემ სისხლის სამართლის კანონი მხოლოდ ამ პრინციპების ზედმიწევნითი დაცვით უნდა გამოიყენოს. სამართლიანობის აღდგენა გულისხმობს ჩადენილი დანაშაულისათვის შესაბამისი სასჯელის დანიშვნას, რომელიც არ დატოვებს უსამართლობის განცდას დამნაშავესა და საზოგადოების თვალში; სასჯელი რესოციალიზაციის ერთგვარი ფორმაა და მას პრევენციული მნიშვნელობაც გააჩნია, სასჯელის გამოყენება დამნაშავეს გამოსწორებასა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისკენაა მიმართული; სასჯელი უნდა იყოს არა დანაშაულის, არამედ დამნაშავეს შესაფერისი, რომლის მიზანი დამნაშავეს შეცვლას უნდა ემსახურებოდეს მის ფსიქოლოგიურ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების გზით; სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით ის უნდა დაინიშნოს დამნაშავეს პიროვნების, ოჯახური და სოციალური მდგომარეობისა და დანაშაულის გარემოებათა გათვალისწინებით; სასჯელის კონკრეტული სახის და ზომის განსაზღვრისას საყურადღებოა, რომ ბრალდებულ - ბ-ს მიმართ შერაცხული ბრალდება, ძირითადი სასჯელის სახით ითვალისწინებს ორ ალტერნატივას. კერძოდ, ჯარიმას და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ას სამოციდან ორას ოც საათამდე ვადით. ანუ კანონმდებელი არ აღგენს სასჯელის მხოლოდ ერთ სახეს, რაც საქმის განმხილველ სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, დაადგინოს სასჯელის ისეთი სახე, რომელიც სრულად უზრუნველყოფს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების მიღწევას - სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას და დამნაშავეს რესოციალიზაციას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ბ-ს მხრიდან მისთვის ბრალად წარდგენილი ქმედების სრულად აღიარება, მონანიება და მისი დამოკიდებულება ჩადენილი დანაშაულისადმი (ბრალდებულის განმარტებით დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შემდეგ ამავე საქმის განხილვის პერიოდში დაადგა ჯანმრთელი ცხოვრების წესს, რაზეც ბრალდების მხარეს არ დაუფიქსირებელია საწინააღმდეგო მოსაზრება) სასამართლოს აძლევს დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ მის მიმართ სასჯელის ისეთი სახის დანიშვნით, როგორიცაა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა

ბრალად წარდგენილი მუხლის სანქციის მინიმალური ვადით, გახდება საფუძველი მომავალში მისი საზოგადოებაში უსაფრთხო ინტეგრაციისა და იქნება დამაფიქრებელი, რათა მან უკეთ გააცნობიეროს ჩადენილი ქმედების ხასიათი, საზოგადოებრივი საშიშროების, გამოწვეული შედეგის სიმძიმე და ბოლოს, უნდა შეამციროს მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის რისკი, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სამართლიანობის აღდგენას.<sup>72</sup>

### 3.5. გამასწორებელი სამუშაო

**გამასწორებელი სამუშაო** თავისი არსით, პირდაპირაა დაკავშირებული მსჯავრდებულის სამსახურებრივ საქმიანობასთან. მსჯავრდებულის შედარებით სტაბილური და ხელფასით ანაზღაურებადი სამსახურის არარსებობა, თავისთავად გამორიცხავს აღნიშნული სასჯელის გამოყენების შესაძლებლობას. გამასწორებელი სამუშაო ინიშნება ერთი თვიდან ორ წლამდე ვადით და მოხდის უნდა იქნეს მსჯავრდებულის სამუშაო ადგილზე (სსკ-ის 45-ე მუხლის “ ნაწილი). არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, „გამასწორებელი სამუშაოს ვადაში ითვლება ვადა, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული მუშაობდა და მისი ხელფასიდან ხდებოდა დაქვითვა.“ აღნიშნული კანონით ასევე განსაზღვრულია გამასწორებელი სამუშაოს დასაწყისიც: „გამასწორებელი სამუშაო იწყება იმ დღიდან, როდესაც დამსაქმებლის ადმინისტრაცია სადაც მსჯავრდებული მუშაობს, პრობაციის ბიუროსგან მიიღებს სასამართლო განაჩენის ასლს და სხვა შესაბამის დოკუმენტებს (36-ე მუხლის მე-2 პუნქტი).“<sup>73</sup>

გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნისას მსჯავრდებულის ხელფასიდან სახელმწიფოს სასარგებლოდ დაიქვითება განაჩენით დადგენილი თანხა, შემოსავლის არანაკლებ ხუთი და არაუმეტეს ოცი პროცენტისა<sup>74</sup>. ამ კუთხით საინტერესოა, რომ კანონმდებლობით დასაშვებია დასაქვითი თანხის შემცირება შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში. გამასწორებელი სამუშაო გამამტყუნებელი განაჩენით ინიშნება მაშინ, როდესაც აღნიშნულის თაობაზე პირდაპირაა მითითებული. გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნისას სასამართლომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ჩადენილი დანაშაულის ბუნება. ალოგიკური იქნება გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნა თუ პირმა

---

<sup>72</sup> <http://ecd.court.ge/> თბილისი საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 25 მარტის განაჩენი.

<sup>73</sup> ი. დვალბე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები). თბილისი. 2013. გვ. 52.

<sup>74</sup> იხ. სქოლიო N73. გვ. 52.

ჩაიდინა დანაშაული, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებულია მის სამსახურებრივ საქმიანობასთან.<sup>75</sup>

საკითხავია, როგორ უნდა განისაზღვროს სასჯელის მოხდის ადგილი, როდესაც პირი ორ ადგილზე მუშაობს და მას სასჯელის სახით უნდა შეეფარდოს გამასწორებელი სამუშაო. სისხლის სამართლის კანონი ამის შესახებ არაფერს ამბობს, თუმცა არასაპატიმრო სასასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, „გამასწორებელი სამუშაო აღსრულდება მსჯავრდებულის ძირითად სამუშაო“- ადგილზე.“ ამრიგად, ასეთ შემთხვევაში სასჯელის აღსრულება ორ - სამუშაო ადგილზე დაუშვებელია. უნდა შეირჩეს ის ადგილი, რომელიც სხვა სამსახურებთან შედარებით, ძირითადია. შეიძლება ისეც ამ მოხდეს, რომ მსჯავრდებული არაძირითად ადგილზე უფრო მეტ გასამრჯელოს იღებდეს, ვიდრე ძირითად სამუშაოზე, თუმცა ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს და დანიშნული სასჯელი მაინც ძირითად სამუშაო ადგილზე უნდა აღსრულდეს.<sup>76</sup>

გამასწორებელი სამუშაო გარდა კერძო ნაწილის კონკრეტული მუხლით გათვალისწინებული სანქციისა შეიძლება დაინიშნოს.

1. ჯარიმის გამასწორებელი სამუშაოთი შეცვლისას (სსკ-ის 42-ე მუხლის);

2. ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც დანიშნულია გამასწორებელ სამუშაოზე უფრო მძიმე სასჯელი და დანიშნულ სასჯელს უცვლიან გამასწორებელი სამუშაოთი (სსკ-ის 73-ე მუხლის პირველი ნაწილი. )

ალტერნატიული სასჯელის გამოყენების პრაქტიკულ პრობლემებზე მსჯელობისას პროფესორი მორის შალიკაშვილი მთავარ გარემოებად მიიჩნევს:

- მსჯავრდებულთა პროფესიულ უნარ-ჩვევებს;
- მენტალობის პრობლემას;
- არასკმარისი სერვისების (სამუშაო ადგილების) ქონას;
- მსჯავრდებულთა განათლების დაბალ დონეს;
- მსჯავრდებულის სტიგმატიზირებას;
- ნასამართლეობას და მისგან გამოწვეულ შეზღუდვებს;

---

<sup>75</sup> ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები). თბილისი. 2013. გვ. 53.

<sup>76</sup> ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები). თბილისი. 2013. გვ. 53.



- ქართული ფირმებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნაკლებ აქტიურობას სერვისების შემოათავაზების თვალსაზრისით.<sup>77</sup>

ამგვარ მოსაზრებას სრულად ეთანხმება პროფესორი მაია ივანიძე, რომელიც განმარტავს, რომ რამდენადაც გამასწორებელი სამუშაოს სრულყოფილი, ეფექტური გამოყენებისათვის აუცილებელია ყველა ზემოთჩამოთვლილი პირობა არსებობდეს. კერძოდ, იმისთვის რომ პირი დასაქმდეს, ამაში ხელი უნდა შეუწყოს იმ პროფესიულმა უნარ-ჩვევებმა, რაც მას გააჩნია.<sup>78</sup>

შესაბამისი განათლება ერთ-ერთი ხელისშემწყობი ფაქტორია პირის სრული რეალიზაციისათვის. აქ იგულისხმება კანონმდებლობის თუნდაც მინიმალურ დონეზე ცოდნა. ზოგიერთმა ადამიანმა საერთოდ არ იცის, რომ კანონი გარდა თავისუფლების აღკვეთისა სხვა უფრო მსუბუქი სახის სასჯელებს ითვალისწინებს. ბუნებრივია, ყოველივე ამას ხელი უნდა შეუწყოს სამოქალაქო განათლებამ და საზოგადოების აქტიურად ჩაბმამ ამ პროცესებში. მოცემული სასჯელის სახის ეფექტურობას თითოეული მსჯავრდებულის სურვილიც განაპირობებს. მისი შეგნებით დამამცირებელი არ უნდა იყოს საკუთარი შრომით და მიღებული შემოსავლით სასჯელის მოხდა. ყველა ამ კომპონენტს ემატება ნასამართლობის და დასაქმების პრობლემაც.<sup>79</sup>

„პრობაციონერებს დიდ პრობლემას უქმნის ნასამართლობა და მასთან დაკავშირებული შეზღუდვები. გამოკითხულ პრობაციონერთა დიდ ნაწილს მძიმედ აწუხებს უმუშევრობის პრობლემა. ისინი საკუთარი ცხოვრების შეცვლის რეალურ შანსს დასაქმებაში ხედავენ. ეს მათი შეხედულება — მაგრამ კიდევ ერთი პრობლემა იჩენს თავს, ალტერნატიული სასჯელის გამოუყენებლობის ძირითადი მიზეზი არის რესურსების, კერძოდ, სამუშაო ადგილების ნაკლებობა, რაც ხელს უშლის მსჯავრდებულისთვის სამუშაო ადგილების შეთავაზებას.“<sup>80</sup>

მართალია გამასწორებელი სამუშაო, როგორც სასჯელის სახე არსებობს სსკ-ში მაგრამ არ არსებობს მისი აღსრულების მექანიზმები, სწორედ ამიტომ არ ინიშნება ის სასჯელის სახით და შესაბამისად ვერ განვიხილავთ მას პრაქტიკულად.

---

<sup>77</sup> მ. შალიკაშვილი, ალტერნატიული სასჯელების კვლევა საქართველოში, მზია ლეკვეიშვილის საიუბილეო კრებული, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბილისი 2014. გვ. 53.

<sup>78</sup> ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო)ზოგადი ნაწილი. თბილისი. 2016. გვ. 509-510.

<sup>79</sup> ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო)ზოგადი ნაწილი. თბილისი. 2016. გვ. 510.

<sup>80</sup> მ. შალიკაშვილი, ალტერნატიული სასჯელების კვლევა საქართველოში, მზია ლეკვეიშვილის საიუბილეო კრებული, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბილისი 2014. გვ. 101.

### 3.6. სამხედრო პირის სამსახურეობრივი შეზღუდვა

სამხედრო პირის სამსახურეობრივი შეზღუდვა მსჯავრდებულის სამხედრო საქმიანობაში ჩადენილ დანაშაულს უკავშირდება. იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებით სასჯელის აღნიშნული სახე თავისი შინაარსით აერთიანებს გამასწორებელს სამუშაოსა და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას.<sup>81</sup> ეს სასჯელი კომპლექსური ხასიათი იურიდიულ შედეგებს იწვევს. კერძოდ სასჯელის მოხდის პროცესში არ შეიძლება მსჯავრდებულის დაწინაურება ან სამხედრო წოდების მომატება. გააჩნია მატერიალური ხასიათიც, ვინაიდან მსჯავრდებულს ხელფასიდან ექვითება თანხა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ხელფასიდან 20%-ს. სასჯელის ვადა მას არ ჩაეთვლება სამსახურეობის ვადაში მორიგი წოდების მისაღებად. აღნიშნული სასჯელი ენიშნება მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეს.

ეს სასჯელი სამხედრო პირს შეეფარდება სამხედრო სამსახურის საწინააღმდეგო დანაშაულის ჩადენისათვის. აღსანიშნავია ის, რომ თუკი სამხედრო მოსამსახურე ჩაიდენს სხვა დანაშაულს, რომელსთვისაც გათვალისწინებულია გამასწორებელი სამუშაო, მას დაენიშნება სამსახურეობრივი შეზღუდვა (და არა გამასწორებელი სამუშაო). სამხედრო პირის სამსახურეობრივი შეზღუდვა, როგორც სასჯელის სახე დაინიშნება იმ შემთხვევაშიც თუ ჯარიმა შეიცვლება გამასწორებელი სამუშაოთი, (სსკ-ის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილი) და ასევე თუკი დაინიშნულია სამხედრო პირის სამსახურეობრივ შეზღუდვაზე უფრო მძიმე სასჯელი და მსჯავრდებულს დაინიშნულ სასჯელს უცვლიან სამხედრო პირის სამსახურეობრივი შეზღუდვით. (სსკ-ის 73-ე მუხლის პირველი ნაწილი).<sup>82</sup>

საქართველოს სსკ-ის 46-ე მუხლის თანახმად სამხედრო პირს სამსახურეობრივი შეზღუდვა ენიშნება სამი თვიდან ორ წლამდე ვადით.

სამხედრო მოსამსახურედ ჩაითვლება პირი, რომელიც სამხედრო ძალებში მსახურობს გაწვევით ან კონტრაქტის საფუძველზე, რეზერვისტების მიმართ ეს სასჯელი არ გამოიყენება.<sup>83</sup>

სამხედრო პირის სამსახურეობრივი შეზღუდვა, როგორც სასჯელის სახე გაგრძელდება იმ შემთხვევაშიც თუკი სამხედრო მოსამსახურე სხვა ადგილას გააგრძელებს სამხედრო მოვალეობის შესრულებას. (კანონი გამორიცხავს სამხედრო პირის დაწინაურებას, როდესაც მას სასჯელის სახედ

---

<sup>81</sup> ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები). თბილისი. 2013. გვ. 54.

<sup>82</sup> ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო)ზოგადი ნაწილი. თბილისი. 2016. გვ. 510.

<sup>83</sup> ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო)ზოგადი ნაწილი. თბილისი. 2016. გვ. 511.

შეფარდებული აქვს სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, იმ შემთხვევაშიც თუკი ამისი იურიდიული და ფაქტობრივი საფუძვლები არსებობს).<sup>84</sup>

### 3.7. შინაპატიმრობა

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ინიციატივით, არასაპატიმრო სასჯელის ახალი სახე შინაპატიმრობა, დაინერგა სიხლის სამართლის კიდექსში, რომელიც შეიძლება დაენიშნოს როგორც სრულწლოვან ისე არასრულწლოვან მსჯავრდებულს. აღნიშნული წარმოადგენს ინოვაციას ქართულ სამართლებრივ რეალობაში. 2018 წლის 1 იანვრამდე შინაპატიმრობა მხოლოდ არასრულწოვანთა მიმართ გამოიყენებოდა.

შინაპატიმრობა თავისი ბუნებით წარმოადგენს სასჯელის ისეთ ნაირსახეობას, რომელიც დაკავშირებულია თავისუფლების აღკვეთასთან, თუმცა გამოიყენება როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა. მისი ასეთი გამოყენების რეკომენდაციას იძლევა გაეროს არასაპატიმრო ღონისძიების მინიმალური სტანდარტული წესები (ტოკიოს წესები).<sup>85</sup> სსკ-ის 47<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად შინაპატიმრობა გულისხმობს მსჯავრდებულისათვის დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრებას. შინაპატიმრობა, მოსამართლის მიერ შესაძლოა, დაენიშნოს ნასამართლობის არმქონე პირს ექვსი თვიდან ორ წლამდე ვადით; შინაპატიმრობა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად; პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს, სასჯელი შინაპატიმრობით შეიძლება შეუცვალოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივმა საბჭომ.

შინაპატიმრობას ელექტრონული მონიტორინგის საშუალებებით სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პრობაციის ეროვნული სააგენტო ადასრულებს. სააგენტოში მოწყობილია თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მონიტორინგის ცენტრი შესაბამისი ელექტრონული სამაჯურებით, რომლითაც მსჯავრდებულის გადაადგილება კონტროლდება. შინაპატიმრობა ხელს უწყობს სასჯელის მოხდას საზოგადოებისგან იზოლირების გარეშე, მსჯავრდებულს ასეთ შემთხვევაში, საშუალება ეძლევა არ მოწყდეს ჩვეულ საცხოვრებელ გარემოს, ოჯახს და ა.შ.<sup>86</sup>

---

<sup>84</sup> იბ. სქოლიო N83. გვ. 511.

<sup>85</sup> სისხლის სამართლის ჟურნალი N1, მარიამ ხუროშვიი, „შინაპატიმრობა, როგორც არასრულწლოვნის სასჯელის ერთ-ერთი სახე“, თბილისი. 2018. გვ. 144.

<sup>86</sup> <http://www.gurianews.com/article/mtavari/sazogadoeba/41881>

შინაპატიმრობა სრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვისაც დაინერგება (R)

შინაპატიმრობა, როგორც სასჯელის სახე, პირველად ამერიკაში, 1983 წელს, ნიუ მეხიკოს შტატში გამოიყენეს. ამის შემდეგ კი აღნიშნული სასჯელი ისე სწრაფად გავრცელდა, რომ 1988 წლისთვის ამერიკის 22 შტატის მასშტაბით შინაპატიმრობაში მყოფი 2.300 მსჯავრდებული იყო.<sup>87</sup>

შინაპატიმრობის ერთ-ერთ პრიორიტეტად იმას განიხილავენ, რომ მან შეიძლება სახელმწიფოსა და გადასახადების გადამხდელებს ბიუჯეტი დაზოგოს. შინაპატიმრობის გამოყენებისა ციხე-ბი გათავისუფლება.<sup>88</sup> სასჯელადსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულის ყოფნასთან შედარებით, სახელმწიფოს ამ სახის აღსრულება ბევრად უფრო იაფი უჯდება.

საქართველოში დაახლოებით ელექტრონული სამაჯურის ღირებულება დღეში საპატიმრო სასჯელის აღსრულების (დღიურად) 1/3 ჯდება.<sup>89</sup>

ცალკე განხილვის საგანია შინაპატიმრობის მიზნობრივი ჯგუფის განსაზღვრა. იმ პირთა შერჩევა, რომელთა მიმართაც შინაპატიმრობა სასურველ შედეგს გამოიწვევს და კონტრაპროდუქტიული არ იქნება ძალიან რთულია. ეს საკითხი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად წყდება.<sup>90</sup> მაგალითად, აშშ-ში შინაპატიმრობის შეფარდება ხდება დაბალი რისკის მქონე პირთა მიმართ. ესენი ის პირები არიან, რომლებმაც ჩაიდინეს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული მსუბუქი ან საშუალო სიმძიმის დანაშაული, რომლებიც რეციდივის დაბალი საშიშროებით ხასიათდებიან და სოციალური ფენის მყარ ნაწილად გვევლინებიან, ხოლო ინგლისში კი შინაპატიმრობა ძირითადად სატრანსპორტო და ნარკოტიკული დანაშაულებისთვის გამოიყენება.<sup>91</sup> საქართველოში შინაპატიმრობის მიზნობრივი ჯგუფი არის ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირები.

შინაპატიმრობის სახეები.

აღსანიშნავია რომ აშშ-ში განასხვავებენ შინაპატიმრობის სამ ფორმას:

---

<sup>87</sup> თ. მახარობლიძე შინაპატიმრობა, როგორც საპატიმრო სასჯელის ახალი ალტერნატივა იუვენალურ იუსტიციაში, გურამ ნაჭყებია-75, საიბილეო სტატიათა კრებული, რედ. ნ. თოდუა, თბილისი, 2016, გვ. 282.

<sup>88</sup> ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არარულწლოვანთა მართლმსაჯულებაში-ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება, სისხლისსამართლის აქტუალური საკითხები, N1, თბილისი, 2017, გვ. 63.

<sup>89</sup> ისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, რედ. ნ. თოდუა, თბილისი, 2016, გვ.709

<sup>90</sup> ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არარულწლოვანთა მართლმსაჯულებაში-ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება, სისხლისსამართლის აქტუალური საკითხები, N1, თბილისი, 2017, გვ. 66.

<sup>91</sup> რედ. ნ. თოდუა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ. 698-699

1. Curfew (მსუბუქი ფორმა) -თავისუფლების შეზღუდვის ამ დროს დამნაშავე ვალდებულია წინასწარ განსაზღვრულ დროის მონაკვეთში სახლში იმყოფებოდეს.]

ამ ფორმის გამოყენება ხდება თერაპიულ კურსზე სიარულის ან ჯარიმის გამოყენებასთან ერთად.

2. ome detention (ნაკლებად მძიმე ფორმა)-წინასწარ დადგენილი გეგმის მიხედვით მსჯავრდებულს უფლება აქვს სახლი დატოვოს-სწავლის, სამუშაოს ან თერაპიაზე სიარულისთვის.

3. Home Incarceration (მძიმე ფორმა)-შინაპატიმრობის ამ ფორმის დროს მისჯილს უფლება არა აქვს დატოვოს სახლი.<sup>92</sup>

ყველაზე ზოგადი დაყოფით შინაპატიმრობა შეიძლება ორ სახედ განვიხილოთ:

ციხის კარამდელი (Frontdoor System) და ციხის კარის შემდგომი (Backdoor System). ციხის კარამდელი შინაპატიმრობა გამოიყენება წინასწარი პატიმრობის ან მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად. ციხის შემდგომი სისტემა (Backdoor System) კი საპატიმრო სასჯელის ნაწილობრივ მოხდის შემდეგ, პირობით ვადამდე გათავისუფლებისას გამოიყენება. ქ. მჭედლიშვილი--ჰედრიხი მიიჩნევს რომ ელექტრონული სამაჯურის გამოყენებამ უკეთესი შედეგი შეიძლება მოიტანოს, თუ ის გამოყენებულ იქნება არასრულწლოვანთა პირობით ვადამდე გათავისუფლებისას და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლისას შინაპატიმრობით და მისი ელექტრონული კონტროლით. საპატიმრო სასჯელის ნაწილობრივ მოხდის შემდეგ, ელექტრონული სასჯელის გამოყენებით, შეიძლება პირი თავისუფლებისთვის მოემზადოს და ამ დროს თავიდან აცილებული იქნება სხვათა მიერ დადგენილი დღის წესრიგიდან ავტონომიურ დღის წესრიგზე გადასვლით გამოწვეული პრობლემები.<sup>93</sup>

შინაპატიმრობა საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 69-ე მუხლში განმარტებულია, როგორც არასრულწლოვნისთვის „დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრება.“ შინაპატიმრობა სასჯელის ახალი სახეა, თუმცა თუ საკითხს ისტორიულად განვიხილავთ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში შინაპატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება ბევრად უფრო ადრე არსებობდა. „1923 წელს მიღებული რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 157-ე მუხლის მიხედვით, შინაპატიმრობა განმარტებული იყო, როგორც ბრალდებულის

<sup>92</sup> მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, 2016, გვ.136.

<sup>93</sup> ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში-ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება, სისხლისმართლის აქტუალური საკითხები, N1, თბილისი, 2017, გვ. 65.

საკუთარ ბინაზე იზოლაცია დარაჯის დანიშვნით, ან უამისოდ. იგი გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, როცა ბრალდებულის დამალვის საფრთხე არ არსებობდა, მაგრამ მაინც საჭირო იყო მისი იზოლირება, რათ მას ხელი არ შეეშალა გამოძიების მსვლელობისთვის.<sup>94</sup> შესაბამისად, ქართული კანონმდებლობა შინაპატიმრობას წლების წინ იცნობდა.

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 69-ე მუხლში გათვალისწინებულია, რომ შინაპატიმრობა შეიძლება დაენიშნოს არასრულწლოვანს 6 თვიდან 1 წლამდე ვადით. ამასთან, არასრულწლოვანს უნდა ჰქონდეს ანაზღაურებადი სამუშაოს განხორციელებისა და სწავლის შესაძლებლობა.

შინაპატიმრობის რეჟიმის განსაზღვრა სასამართლოს პრეროგატივაა. მოსამართლემ კონკრეტული შემთხვევის თავისებურებებისა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით უნდა დაუნიშნოს მას შინაპატიმრობაში ყოფნის ყოველდღიური საათები. „მნიშვნელოვანია რომ სადამსჯელო ეფექტი არ იყოს გადაჭარბებული.“ ამასთან, აუცილებელია რომ არასრულწლოვანს ხელი არ შეეშალოს სწავლის მიღებაში, განვითარებაში, ანაზღაურებადი საქმიანობის განხორციელებაში. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსამართლის მიერ შინაპატიმრობის საათების გონივრულ განსაზღვრას.<sup>95</sup>

რასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 75-ე მუხლის მიხედვით, არასრულწლოვნისთვის არასაპატიმრო სასჯელის დანიშვნისას მოსამართლე უფლებამოსილია მას დააკისროს იმავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე მოვალეობა. მაგალითად, აეკრძალოს კონკრეტულ პირების მონახულება, ბინადრობის ადგილის შეცვლა, დროის გარკვეულ მონაკვეთში შინიდან გასვლა და ა.შ; ან დაევალოს: სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დახმარებით სწავლის დაწყება ან გაგრძელება, სახელმწიფო ორგანოს დახმარებით მუშაობის დაწყება და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ამავე მუხლის მიხედვით დაუშვებელია არასრულწლოვნისთვის ისეთი მოვალეობის დაკისრება, რომელიც დიდი ალბათობით არ შესრულდება ან რომლის შესრულებაც აღემატება არასრულწლოვნის გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებს.<sup>96</sup>

---

<sup>94</sup> ვ. ბენიძე დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები, თბილისი, 2003, გვ.109.

<sup>95</sup> მ. ხუროშვილი, სისხლის სამართლის ჟურნალი N1, „შინაპატიმრობა, როგორც არასრულწლოვნის სასჯელის ერთ-ერთი სახე“, თბილისი. 2018. გვ. 149.

<sup>96</sup> მ. ხუროშვილი, სისხლის სამართლის ჟურნალი N1, „შინაპატიმრობა, როგორც არასრულწლოვნის სასჯელის ერთ-ერთი სახე“, თბილისი. 2018. გვ. 149-150.

ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 30 აპრილის განაჩენით მსჯავრდებული გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა შინაპატიმრობა 1(ერთი) წლის ვადით. სქმეში არსებული გარემოებების მიხედვით გ-ს ბრალად ედებოდა, რომ ჩაიდინა ქურდობის, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლების მცდელობა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. 2018 წლის დეკემბერში, ზუსტი თარიღი დაუდგენელია, ლ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ ხ. მიმდებარე ტერიტორიაზე, გ. ფარულად დაეუფლა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს კუთვნილ, 13 ერთეულ, 14,82 კუბური მეტრის მოცულობის, 2906 ლარისა და 40 თეთრის ღირებულების, წიფლის ჯიშის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ხარისხის ხე-მორს. გ-ს ქმედების შედეგად სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს მიაღდა მნიშვნელოვანი ზიანი.

სასჯელზე მსჯელობისას სასამართლო მიუთითებს, რომ სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავეს რესოციალიზაციის განსახორციელებლად, აგრეთვე, დანაშაულის მოტივისა და მიზნის, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების, მოვალეობათა დარღვევის ხასიათისა და ზომის, ქმედების განხორციელების სახის, ხერხისა და მართლსაწინააღმდეგო შედეგის, დამნაშავეს წარსული ცხოვრების, ქმედების შემდეგ ყოფაქცევის გათვალისწინებით, სასამართლო თვლის, რომ გ-ს ჩადენილი დანაშაულისათვის უნდა დაენიშნოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის სანქციით გათვალისწინებული სასჯელის სახე - შინაპატიმრობა, რაც გახდება საფუძველი მომავალში მისი საზოგადოებაში უსაფრთხო ინტეგრაციის და იქნება დამაფიქრებელი ბრალდებულისათვის, რათა მან უკეთ გააცნობიეროს ჩადენილი ქმედების ხასიათი, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი, გამოწვეული შედეგის სიმძიმე და ბოლოს, უნდა შეამციროს გ-ს მხრივ ახალი დანაშაულის ჩადენის რისკი, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სამართლიანობის აღდგენას. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სასჯელის დანიშვნის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით დადგენილი მიზანი: სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია. ამავე მუხლის მეორე ნაწილი ადგენს, რომ, სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით. ხოლო მესამე ნაწილით სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ღირსების დამცირება. სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით დადგენილი სასჯელის მიზნის რეალიზაციას, სასჯელის სიმკაცრე კი არა, მისი გარდუვალობა განაპირობებს,

მთავარია არა ის, რომ დასაჯო მკაცრად, არამედ ის რომ დანაშაულის შემთხვევა არ უნდა დარჩეს სათანადო რეაგირების გარეშე და ეს რეაგირება უნდა იყოს ბრალდებულის პიროვნების, მისი მიერ ჩადენილი ქმედების, მის მიმართ არსებული შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მაქსიმალური სიზუსტით შეფასების შესაბამისი. სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ბრალდებულის მხრიდან ჩადენილი ქმედების აღიარებას და მონანიებას, გამოძიებასთან თანამშრომლობის ხარისხს, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის უმნიშვნელოვანეს შემამსუბუქებელ გარემოებას, თვლის რომ ბრალდებულის რესოციალიზაციის პროცესის საწყისი, მისი მხრივ ჩადენილი ქმედების გაცნობიერება და აღქმა. გასათვალისწინებელია ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სხვა შემამსუბუქებელი გარემოებები: ჩადენილი ქმედების აღიარება და გულწრფელი მონანიება, ეკონომიური მდგომარეობა, არის შეუბღალავი რეპუტაციის მქონე.<sup>97</sup>

### 3.8. ქონების ჩამორთმევა

**ქონების ჩამორთმევა** სსკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად ნიშნავს დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას.

სასამართლო ქონების ჩამორთმევის სასჯელად შეფარდებისას, სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევს დამნაშავეს მის საკუთრებაში ან კანონიერ მფლობელობაში არსებულ ნივთებს, რომლებიც პირობითად შეიძლება სამ კატეგორიად დაიყოს: 1) დანაშაულის საგანი ან იარაღი, ე.ი. ისეთი ნივთები, რომლებიც განზრახი დანაშაულის ჩასადენად უკვე გამოიყენა დამნაშავემ; 2) განზრახი დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთი, ე.ი. აქ იგულისხმება ისეთი ნივთები, რომლებიც არ ყოფილა ჯერ გამოყენებული დანაშაულის ჩასადენად; 3) დანაშაულით მოპოვებული ქონება (სსკ-ის 52-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).<sup>98</sup>

დანაშაულის საგნის ან/და იარაღის ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევა შესაძლებელია ყველა განზრახი დანაშაულის ჩადენისას, იმის მიუხედავად, სასჯელის ეს სახე კონკრეტული დანაშაულისთვის დაწესებული სანქციით გათვალისწინებულია თუ არა, ხოლო

---

<sup>97</sup> <http://ecd.court.ge/> ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 30 აპრილის განაჩენი.

<sup>98</sup> ი. დვალაძე. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები). თბილისი. 2013. გვ. 62.



დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა ინიშნება ნებისმიერი განზრახი დანაშაულის ჩადენისას.<sup>99</sup>

ჩამოსართმევი დანაშაულის საგნის ან/ და იარაღის, ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთი ბრალდებულის (მსჯავრდებულის) საკუთრებაა ან მას კანონიერად ფლობს. აღნიშნული ქონება ან განზრახი დანაშაულის ჩადენისას იყო გამოყენებული, ან ამისთვის რაიმე სახით იყო გამიზნული (მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც დამნაშავეს დანაშაულის განხორციელებისას თან ჰქონდა, გაგრამ არ გამოუყენებია, რადგან ამის საჭიროება არ შექმნილა). სსკ-ის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, განზრახი დანაშაულის საგნის ან და იარაღის, ან განზრახი დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევას სასამართლო ახორციელებს ერთ-ერთი შემდეგი პირობის არსებობისას:

- 1) სახელმწიფო და საზოგადოებრივი აუცილებლობა;
- 2) ცალკეულ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;
- 3) ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.

სსკ-ის 52-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, დანაშაულებრივი გზით მიღებულ ქონებად ჩაითვლება:

- 1) ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე;
- 2) იურიდიული დოკუმენტები, რომლებიც იძლევა უფლებას ქონებაზე;
- 3) დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებიდან მიღებული ნებისმიერი ფორმის შემოსავლები ან მათი ღირებულების ეკვივალენტური ქონება.<sup>100</sup>

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 06 აპრილის განაჩენით მ.გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის პირველი ნაწილი (ცემა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი - 2016 წლის 13 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია), 120-ე მუხლი (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა გამოიწვია) და 151-ე მუხლის პირველი ნაწილი (მუქარა, ესე იგი სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში). 2016 წლის 2 ნო-

---

<sup>99</sup> ი. დვალაძე. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები). თბილისი. 2013. გვ. 62

<sup>100</sup> ი. დვალაძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები). თბილისი. 2013. გვ. 63.

ემბერს, დაახლოებით 07:50 საათიდან 08:20 საათამდე დროის შუალედში, თბილისში, გ. ქ.#--ში მდებარე ღამის ბარ „ნ-ის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მ. გ-მ ურთიერთშელაპარაკებისას, ფიზიკური დაპირისპირების დროს მ. ლ-ს სხეულის სხვადასხვა არეში დარტყმებით მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. მ. გ-ს ქმედებით მ. ლ-მ განიცადა ფიზიკური ტკივილი. 2016 წლის 2 ნოემბერს, დაახლოებით 07:50 საათიდან 08:20 საათამდე დროის შუალედში, თბილისში, გ. ქ.#--ში მდებარე ღამის ბარ „ნ-ის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მ. გ-მ ურთიერთშელაპარაკებისას, ფიზიკური დაპირისპირების დროს თ. ხ-ს სხეულის სხვადასხვა არეში დარტყმებით მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. მ. გ-ს ქმედებამ გამოიწვია თ. ხ-ს ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მომლა გამოიწვია. 2016 წლის 2 ნოემბერს, დაახლოებით 07:50 საათიდან 08:20 საათამდე დროის შუალედში, თბილისში, გ. ქ.#--ში მდებარე ღამის ბარ „ნ-ის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მ. გ-მ ურთიერთშელაპარაკებისას, ფიზიკური დაპირისპირების დროს სასტარტო იარაღის დემონსტრირებითა და გამოყენებით სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა თ. ხ-ს, აღნიშნული ქმედების შედეგად თ. ხ-ს გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში. მ. გ-ს სასამართლომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად მ. გ-ს. განუესაზღვრა ჯარიმა 2 500 (ორიათასხუთასი) ლარი და სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამოართვა დანაშაულის იარაღი - ქარხნული წესით დამზადებული 9მმ ნომინალური კალიბრის Z-ის ფირმის, R1 მოდელის # 1. აირის რევოლვერი.

სასჯელზე მსჯელობიას იარაღის ჩამორთმევის ნაწილში სასამართლო მიუთითებს, რომ აქმის მასალებით: უდავო მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ბრალდებულ მ. გ-ის მიერ მუქარა ჩადენილი იქნა იარაღის დემონსტრირებით, აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის საფუძველზე, მ. გ-ს სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ უნდა ჩამოერთვას დანაშაულის იარაღი, ქარხნული წესით დამზადებული 9მმ ნომინალური კალიბრის Z-ის ფირმის, R1 მოდელის # 1. აირის რევოლვერი. აირის რევოლვერის ჩამორთმევის სამართლებრივი საფუძველი არის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები. ნორმის მიხედვით, ქონების ჩამორთმევა ნიშნავს დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამოიხსნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას. დანაშაულის საგნის ან/და იარაღის ან დანაშაულის ჩასადენად გამოიხსნული ნივთის ჩამორთმევა ნიშნავს ბრალდებულისთვის, მსჯავრდებულისთვის მის საკუთრებაში ან კანონიერ მფლობელობაში არსებული, განზრახი დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ან ამისათვის რაიმე სახით გამოიხსნული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას. დანაშაულის საგნის ან/და იარაღის ან

დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევა ხდება სასამართლოს მიერ, ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა განზრახი დანაშაულისათვის, იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა დანაშაულის საგანი ან/და იარაღი ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთი და მათი ჩამორთმევა საჭიროა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აუცილებლობიდან ან ცალკეულ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე ანდა ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.<sup>101</sup>

### 3.9. იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა

იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა საქართველოს სსკ-ის 52<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად ნიშნავს იარაღის დამზადების, შეძენის ან/და იარაღის (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის) შენახვის, ტარების ან/და გამოყენების შეზღუდვას ან/და აკრძალვას. აღნიშნული სასჯელი ინიშნება ვადით 1-დან 5 წლამდე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი აწესებს დათქმას, როდის არ შეიძლება მოსამართლის მიერ დამატებითი სასჯელის სახით განისაზღვროს იარაღთან დაკავშირებული უფლების შეზღუდვა და განმარტავს, რომ არნიშნული არ შეიძლება, მაშინ როდესაც იგი ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელად არის გათვალისწინებული ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით. კანონმდებელი განმარტავს, რომ ასეთი სასჯელის დანიშვნისას აუცილებელი არ არის, იარაღი დანაშაულის იარაღი იყოს ან დანაშაულის ჩასადენად იყოს გამიზნული. სსკ-ის 52<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად ძირითად სასჯელად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, გამასწორებელი სამუშაოს ან შინაპატიმრობის დანიშვნისას, აგრეთვე პირობითი მსჯავრის დროს დამატებით სასჯელად დანიშნული იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ვადა აითვლება სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან. ძირითად სასჯელად თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას დამატებით სასჯელად დანიშნული იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ვადა აითვლება ძირითადი სასჯელის მოხდის მომენტიდან.

---

<sup>101</sup> <http://ecd.court.ge/> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 06 აპრილის განაჩენი.

## თავი IV. პირობითი მსჯავრი და არასაპატიმლო სასჯელი

### 4.1. პირობითი მსჯავრის გამოყენებასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა

პირობითი მსჯავრი პირზე სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, რომელიც გადაჯაჭვულია სასჯელზე და მის გარეშე არ არსებობს. იგი ერთნაირად აქტუალურია როგორც სისხლის სამართლის მეცნიერებაში, ისე - სასამართლო პრაქტიკაში.

პირობითი მსჯავრის არსის გაგება, პირველ რიგში, თავად სახელწოდების განმარტებიდან უნდა დავიწყოთ. აღნიშნული ინსტიტუტის მომწესრიგებელი ნორმების ადრინდელ რედაქციებში ყოველთვის გამოიყენებოდა ტერმინი „პირობითი მსჯავრი“, რაც დღესაც ეწოდება მას. თუმცა უცხოური ლიტერატურიდან გაკეთებულ თარგმანებში უმეტესად გვხვდება ტერმინი „პირობითი სასჯელი“<sup>102</sup>. პირობითი მსჯავრისას სასამართლო მსჯავრდებულს სასჯელის რეალურად მოხდისაგან ათავისუფლებს გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ<sup>103</sup>, ანუ ეს გათავისუფლება პირობადებულია<sup>104</sup>.

ჯერ კიდევ მე-20 საუკუნეში არაერთი მეცნიერი პირობით მსჯავრს განიხილავდა სასჯელის სახედ, რადგანაც მათი ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ეს ინსტიტუტი გათვალისწინებული იყო სასჯელთა თავში, ასევე, მსგავსი მოსაზრება არსებობს დღეისათვის საერთო სა-

---

<sup>102</sup> ი. ვარძელაშვილი, პირობითი მსჯავრის დანიშვნა და გაუქმება. გ. ნაჭყებია - 75, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2016, გვ. 244.

<sup>103</sup> ი. დვალაძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები). თბილისი. 2013. გვ. 127.

<sup>104</sup> იხ. სქოლიო N103. გვ. 125.

მართლის სისტემის ქვეყნების მეცნიერთა ნაწილშიც<sup>105</sup>. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ პოზიცია გამყარებულია მეტად მნიშვნელოვანი არგუმენტებით. კერძოდ, პირობითი მსჯავრი, ისევე როგორც სასჯელი, იწვევს პირის ნასამართლობას. ამასთანავე, სასჯელის მსგავსად, იგი მატერიალური სახის ზემოქმედებას ახდენს დამნაშავეზე<sup>106</sup>. გარდა ამისა, მას იგივე მიზნები გააჩნია, რაც სასჯელს აქვს, თანაც მისი დანიშვნის საფუძველიც არის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი. დამატებით უნდა ითქვას ისიც, რომ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირობითი მსჯავრის გამოყენებისას შესაძლებელია დამატებითი სასჯელის დანიშვნაც, რაც, ერთი შეხედვით, ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს პირობითი მსჯავრი ძირითადი სასჯელია<sup>107</sup>. ასევე აღსანიშნავია, რომ, სასჯელის მსგავსად, პირობით მსჯავრსაც ახასიათებს სახელმწიფოებრივი იძულების ელემენტი, რაც გამოიხატება გამოსაცდელი ვადის განმავლობაში გარკვეული წესების შესაბამის ქცევაში<sup>108</sup>. არგუმენტად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ, ისევე როგორც სასჯელი, პირობითი მსჯავრიც წარმოადგენს პასუხისმგებლობის ფორმას - სახელმწიფოს რეაქციას, რომელიც შედეგად მოსდევს პირის დამნაშავედ აღიარებას.

პირობითი მსჯავრისა და სასჯელის მიზნების მსგავსებაზე აზრი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში გამოითქვა<sup>109</sup>. მას შემდეგ აღნიშნული მოსაზრება კიდევ უფრო დაიხვეწა და დღეისათვის ერთხმადაა აღიარებული, რომ პირობითი მსჯავრიც უნდა პასუხობდეს იმ მიზნებს, რომლებიც ყველაზე მთავარი სისხლისსამართლებრივი ღონისძიების - სასჯელის წინაშეა დასახული<sup>110</sup>. საკონსტიტუციო სასამართლოსეული განმარტების თანახმად, ვინაიდან პირობითი მსჯავრი სასჯელის დანიშვნის გარეშე ვერ ამოქმედდება და იგი აქცესორული ხასიათისაა, წარმოუდგენელია, რომ მას, როგორც სასჯელზე დამოკიდებულ ინსტიტუტს, იგივე მიზნები არ ჰქონდეს, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლითაა გათვალისწინებული<sup>111</sup>. აღნიშნულს განაპირობებს ისიც, რომ პირობითი მსჯავრის გამოყენებისას გამოსაცდელ ვადაში გარკვეული მოვალეობების დაკისრებითა და კონტროლის დაწესებით სახელმწიფო ახორციელებს მსჯავრდებულზე ზემოქმე-

<sup>105</sup> ნ. თოდუა, პირობითი მსჯავრი, სისხლის სამართლის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ. 369

<sup>106</sup> А. Пионтковский, Об условном осуждении, Одесса, 1896, ст. 102.

<sup>107</sup> ნ. თოდუა, პირობითი მსჯავრი, სისხლის სამართლის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ. 370.

<sup>108</sup> მ. ქათამაძე, პირობითი მსჯავრის იურიდიული ბუნება, ჟურნალი „სამართალი“ No1-2, 2004, გვ. 60.

<sup>109</sup> А. Пионтковский, Об условном осуждении или системе испытания, Уголовно-политическое исследование, Одесса, 1894.

<sup>110</sup> მ. ქათამაძე, პირობითი მსჯავრის იურიდიული ბუნება, ჟურნალი „სამართალი“ No1-2, 2004, გვ. 63.

<sup>111</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება.

დებას ისეთი მიზნების მისაღწევად, როგორებიცაა სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია<sup>112</sup>.

მიუხედავად ზემოაღნიშნული საგულისხმო არგუმენტებისა, პირობით მსჯავრი მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს სასჯელის სახედ. ამის უპირველესი არგუმენტი ის არის, რომ იგი არ გვხვდება სსკ-ის მე-40 მუხლით განსაზღვრულ სასჯელთა ჩამონათვალში<sup>113</sup>. გარდა ამისა, სასჯელის თვისებაა პირისათვის ზიანისა და ვნების მიყენება<sup>114</sup>, პირობით მსჯავრს კი აღნიშნული თვისება არ ახასიათებს და მასში ნეგატიურზე მეტად გამოკვეთილია პოზიტიური ასპექტი. აღსანიშნავია ისიც, რომ სასჯელის დანიშვნისას დიდი ყურადღება ექცევა მისი გამოყენების აუცილებლობას, ეფექტურობას, პროპორციულობასა და ეკონომიკურობას<sup>115</sup>, მაშინ, როცა პირობითი მსჯავრის გამოყენებისას აქცენტი გადატანილია დამნაშავის ინდივიდუალურ პიროვნებაზე, მის წარსულ ცხოვრებასა და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზე. გარდა ამისა, თუკი პირობითი მსჯავრი სასჯელის სახედ ჩაითვლება, მაშინ გაუგებარი იქნება, გამოსაცდელი ვადის პერიოდში დაკისრებულ მოვალეობათა შეუსრულებლობა როგორ გამოიწვევს პირობითი მსჯავრის, როგორც სასჯელის, გაუქმებას<sup>116</sup>?! ამასთანავე, პირობითი მსჯავრის სასჯელის სახედ მიჩნევით გამოდის, რომ სასამართლო განაჩენით ნიშნავს ორ სასჯელს, რა დროსაც პირველი მათგანის მოქმედებას აჩერებს მეორე და პირველი სასჯელის რეალური აღსრულება დამოკიდებულია მეორე სასჯელის - პირობითი მსჯავრის მოქმედების ვადაში დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობაზე<sup>117</sup>. აღნიშნული დაშვებით კი წარმოიშობა სრული სამართლებრივი ნონსენსი, რის გამოც ქართულ იურიდიულ დოქტრინაში სწორადაა ერთხმად აღიარებული, რომ პირობითი მსჯავრი, მიუხედავად სასჯელთან მისი მსგავსებისა, არ წარმოადგენს სასჯელის სახეს.

საქართველოში დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლი აწესრიგებს პირობითი მსჯავრის დანიშვნის საკითხებს და მის შინაარსზე დაკვირვებით, ნათელი ხდება, რომ

---

<sup>112</sup> ი. დვალიძე. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები). თბილისი. 2013. გვ. 128.

<sup>113</sup> ი. ვარძელაშვილი, პირობითი მსჯავრის დანიშვნა და გაუქმება. გ. ნაჭყებია - 75, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2016, გვ. 244.

<sup>114</sup> ზ. ნანობაშვილი, სასჯელის უფლება, ჟურნალი „სამართალი“ №5, 1999, გვ. 83.

<sup>115</sup> იხ. სქოლიო N112. გვ. 128.

<sup>116</sup> ნ. თოდუა, პირობითი მსჯავრი, სისხლის სამართლის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ. 371.

<sup>117</sup> ნ. თოდუა, პირობითი მსჯავრი, სისხლის სამართლის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016. გვ. 45.

სასჯელის პირობითად ჩათვლა შესაძლებელია სხვადასხვა საფუძვლების არსებობისას. ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, სასამართლო უფლებამოსილია, დანიშნული სასჯელი ჩათვალოს პირობითად. ლიტერატურაში გამოთქმული კრიტიკის თანახმად, 63-ე მუხლში „საპროცესო შეთანხმების“ ნიშნის შემოტანა მოსამართლის დამოუკიდებლობის შეზღუდვას ისახავდა მიზნად<sup>118</sup>, 2006 წლის 28 აპრილის საკანონმდებლო ცვლილებამდე პირობითი მსჯავრის გამოყენება არ იყო დაკავშირებული საპროცესო შეთანხმებასთან და იგი მოსამართლის დისკრეციას წარმოადგენდა.

დიდი მნიშვნელობა აქვს, ასევე, იმის სწორად განსაზღვრას, თუ რომელი სახის სასჯელი შეიძლება ჩაითვალოს პირობითად. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლში ჩამოთვლილია ქვეყანაში დღეს მოქმედი სასჯელის სახეები, რომელთაგან ზოგიერთი დაკავშირებულია თავისუფლების აღკვეთასთან, ხოლო უმეტესობა არასაპატიმრო სასჯელთა რიცხვს განეკუთვნება. თუკი გადავხედავთ საერთო სასამართლოების პრაქტიკას, ნათლად დავინახავთ, რომ პირობითი მსჯავრის გამოყენება ხდება სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას, რის გამოც ბევრს ჰგონია, რომ პირობითად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა. ამის საპირისპიროდ უნდა ითქვას, რომ სსკ-ის 64-ე მუხლის თანახმად, რომელიც პირობითი მსჯავრისას გამოსაცდელი ვადის დადგენის საკითხს აწესრიგებს, თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სახის სასჯელის დანიშვნისას გამოსაცდელი ვადა უნდა განისაზღვროს ერთიდან სამ წლამდე ვადით. აღნიშნული კი ცალსახად მეტყველებს, რომ პირობითი მსჯავრი არ არის დაკავშირებული მხოლოდ თავისუფლების აღკვეთასთან და იგი არასაპატიმრო სასჯელების დანიშვნის დროსაც შეიძლება იქნეს გამოყენებული. მიუხედავად ამისა, ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, შეუძლებელია ჯარიმის ჩათვლა პირობით, რადგანაც ამ სახის სასჯელის დაკისრებისას კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული მიზნები მიიღწევა „პირის ქონებრივ დანაზოგზე დარტყმით“, რაც შეუძლებელია მისი პირობითად ჩათვლის დროს<sup>119</sup>.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული მსჯელობისა, ჩვენს შემთხვევაში საინტერესოა თავიუფლების აღკვეთის პირობითმსჯავრად ჩათვლის განხილვა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთის - საპატიმრო სასჯელის პირობითად ჩათვლის შემთხვევაში სასჯელის მოხდა არ ხდება მსჯავრდებულის საზოგადოებისგან იზოლირებულად. აქვე შესაძლებელია ხაზი გაესვას

---

<sup>118</sup> ო. გამყრელიძე, მოსყიდვა ქვემოდან თუ მოსყიდვა ზემოდან, ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“ №3- 4, 2008, გვ. 8

<sup>119</sup> ნ. თოდუა, პირობითი მსჯავრი, სისხლის სამართლის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ. 48

ისეთ დადებით მხარეებს მსჯავრდებულის რესოციალიზაციის კუთხით, როგორიც აქვს არასაპატიმრო სასჯელს. სასჯელის მიზნები მიიღწევა თავისუფლების აღკვეთის პირობითად ჩათვლის შემთხვევაში მსჯავრდებულის საპატიმრო დაწესებულებისგან მიღმა ყოფნით. სწორედ აღნიშნულმა ფაქტორმა განაპირობა პირობითი მსჯავრის განხილვა მოცემულ სამაგისტო ნაშრომში.

## 4.2. არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების მექანიზმები

სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ სასჯელის აღსრულება წარმოადგენს დანაშაულთან ბრძოლისა და კონტროლის ინსტრუმენტს, რომლის მიზანია რესოციალიზაცია, რეციდივის თავიდან აცილება და საზოგადოების დაცვა. არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ.“ ეს კანონი არეგულირებს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ღონისძიებების გამოყენების უფლების მქონე ორგანოთა სისტემას, სტატუსს და მათი საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს, ადგენს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ღონისძიებების გამოყენების უფლების მქონე პირთა უფლებამოსილებებს, მათ მიერ სამსახურის გავლის წესს, მათი სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს, მსჯავრდებულის უფლება-მოვალეობებს, მსჯავრდებულის მიერ კანონით დადგენილი რეჟიმის დარღვევისათვის მისი დაჯარიმების წესსა და პირობებს, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ღონისძიებების გამოყენების წესებს.

განვიხლოთ საქართველოს კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად „ამ კანონით დადგენილი წესითა და პირობებით აღსრულებას ექვემდებარება არასაპატიმრო სასჯელთა სახის შემდეგი სამართლებრივი აქტები: ა) სასჯელის სახით თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ; ბ) სასჯელის სახით იურიდიული პირისათვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ; გ) სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნის შესახებ; დ) სასჯელის სახით გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნის შესახებ; ე) (ამოღებულია - 01.06.2017, №954); ვ) სასჯელის სახით შინაპატიმრობის დანიშვნის შესახებ; ზ) სასჯელის სახით იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის შესახებ.“

ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი „ამ კანონით დადგენილი წესითა და პირობებით აღსრულებას ექვემდებარება პრობაციის სახის შემდეგი სამართლებრივი აქტები:

ა) პირობითი მსჯავრის დანიშვნის შესახებ.“



საქართველოს კანონის „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ მე-3 მუხლის პირველ ნაწილში განმარტებულია, რომ „ამ კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული აღსრულების ქვემდებარე სამართლებრივი აქტების მომზადებას უზრუნველყოფს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო (შემდგომ – პრობაციის ეროვნული სააგენტო) თავისი ტერიტორიული ორგანოების – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროების (შემდგომ – პრობაციის ბიუროები) მეშვეობით“.

საქართველოს კანონის „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ 25-ე მუხლი გასაზღვრავს სასჯელის სახით თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის აღსრულების წესს „ თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ სასამართლოს განაჩენის ასლი აღსასრულებლად გადაეცემა პრობაციის ბიუროს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით. პრობაციის ოფიცერს მსჯავრდებული აჰყავს აღრიცხვაზე, განუმარტავს მას სასჯელის მოხდის წესებს და პირობებს, პერიოდულად აკონტროლებს მსჯავრდებულისათვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებას. თუ პრობაციის ოფიცერი დაადგენს, რომ მსჯავრდებულს დაკავებული აქვს ის თანამდებობა ან ეწევა ისეთ საქმიანობას, რომელიც აკრძალული აქვს განაჩენით, იგი დამსაქმებელ თანამდებობის პირს უგზავნის მოთხოვნას, გაათავისუფლოს მსჯავრდებული დაკავებული თანამდებობიდან ან აუკრძალოს მას განაჩენში მითითებული საქმიანობა. დამსაქმებელი თანამდებობის პირისათვის გაგზავნილი მოთხოვნა უნდა შეიცავდეს გაფრთხილებას სასამართლო განაჩენის შეუსრულებლობის ან მისი შესრულებისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. თუ დამსაქმებელი თანამდებობის პირი პრობაციის ოფიცრის მოთხოვნის მიღებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში არ გაათავისუფლებს მსჯავრდებულს დაკავებული თანამდებობიდან ან არ შეუცვლის მას საქმიანობის სფეროს, შესაბამისი მასალები გადაეგზავნება პროკურატურის ორგანოს.“

რაც შეეხება საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის აღსრულების წესს, აღნიშნულს განსაზღვრავს, მოცემული კანონის 29-ე მუხლი. „საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნის შესახებ (მათ შორის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი წესით, მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების დადებისას) სასამართლო განაჩენის ასლის ან სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოს (შემდგომ – ადგილობრივი საბჭო) გადაწყვეტილების ასლის აღსასრულებლად მიღების შემდეგ პრობაციის ბიურო განუსაზღვრავს მსჯავრდებულს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახესა და ყოველდღიურ ხანგრძლივობას. პრობაციის ბიუროსა და დამსაქმებელს შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც მითითება მსჯავრდე-

ბულის მიერ შესასრულებელი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახე, მთლიანი ვადა, ყოველდღიური ხანგრძლივობა, სამუშაო ადგილი, დამსაქმებლის დასახელება და მისამართი, აგრეთვე საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი სხვა გარემოებები. ამ ხელშეკრულების ასლი გადაეცემა მსჯავრდებულს. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სრულფასოვანი აღსრულების და მისი ჯეროვანი კონტროლის, მათ შორის, ელექტრონული მონიტორინგის განხორციელების მიზნით, პრობაციის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან ან სხვა დამსაქმებელთან გააფორმოს/დადოს შესაბამისი შეთანხმება/ხელშეკრულება, რომელიც შეიძლება ითვალისწინებდეს დამსაქმებლის მიერ მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულებას. ამ პუნქტის შესაბამისად მიღებული მომსახურების საფასური მოხმარდება პრობაციის ეროვნული სააგენტოს ზემოაღნიშნული და სხვა მიზნების განხორციელებას. მსჯავრდებული, მისი სოციალური მდგომარეობისა და სამუშაო პირობების გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი იქნება კვებით ან მას პრობაციის ეროვნული სააგენტო აუნაზღაურებს კვების ხარჯებს, რომლის დანიშვნის პირობები და წესი განისაზღვრება მინისტრის ნორმატიული აქტით. მსჯავრდებულს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დროს, შესასრულებელი სამუშაოს გათვალისწინებით, მინისტრის მიერ დადგენილი პირობებისა და წესის შესაბამისად, პრობაციის ეროვნული სააგენტო უზრუნველყოფს სათანადო სახის დაზღვევით. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების წესი და პირობები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

გამასწორებელი სამუშაოს აღსრულების წესს განსაზღვრავს „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ შესახებ კანონის 34-ე მუხლი, რომლის თანახმად „გამასწორებელი სამუშაო აღსრულდება მსჯავრდებულის ძირითად სამუშაო ადგილზე. გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნის შესახებ სასამართლო განაჩენის ასლის აღსასრულებლად მიღების შემდეგ ან მსჯავრდებულის სხვა სამუშაო ადგილზე გადასვლისას პრობაციის ბიურო დამსაქმებელს უგზავნის მოთხოვნას მსჯავრდებულის ხელფასიდან სასამართლოს მიერ დადგენილი პროცენტული ოდენობის შესაბამისი თანხის სახელმწიფო შემოსავალში დაქვითვის თაობაზე. დამსაქმებლისათვის გაგზავნილ მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს სასამართლო განაჩენის შეუსრულებლობის ან მისი შესრულებისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.“

რაც შეეხება შინაპატიმრობას „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ შესახებ კანონის 44<sup>8</sup> უხლის შესაბამისად „შინაპატიმრობის შესახებ სამართლებრივი აქტი ექვემდებარება წარმოებაში მიღებას და აღსრულების დაწყებას დაუყოვნებლივ, თუ ამ სამართლებრივი აქტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. შინაპატიმრობის შესახებ სამართლებრივი აქტის

აღსრულების პროცესში მსჯავრდებულზე, ამ თავის თავისებურებათა გათვალისწინებით, ვრცელდება ამ კანონის III თავით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები. მსჯავრდებულის მიერ შინაპატიმრობის რეჟიმის (სასამართლოს მიერ დადგენილი შინაპატიმრობის დრო და პირობები, აგრეთვე მსჯავრდებულის სხვა მოვალეობები) არასაპატიო მიზეზით დარღვევის შემთხვევაში პრობაციის ბიუროს უფროსი შესაბამისი წარდგინებით მიმართავს განაჩენის გამომტან სასამართლოს. შინაპატიმრობა, როგორც წესი, აღსრულდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით. ელექტრონული ზედამხედველობის გამოუყენებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პრობაციის ეროვნული სააგენტო. შინაპატიმრობის აღსრულებისას მსჯავრდებულის მიერ ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების დაკარგვის ან მსჯავრდებულის ბრალეული ქმედებით ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების დაზიანების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მას, ხოლო არასრულწლოვანი მსჯავრდებულის შემთხვევაში – მის კანონიერ წარმომადგენელს. იქ, სადაც შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით კონტროლი ტექნიკურად შეუძლებელია, კონტროლი ხორციელდება მსჯავრდებულის საცხოვრებელ ადგილზე პრობაციის ოფიცრის გაუფრთხილებელი ვიზიტით, თვეში არანაკლებ ექვსჯერ, რის თაობაზედაც დგება შესაბამისი ოქმი. შინაპატიმრობის აღსრულებისას ამ კანონის 12<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული საპატიო პირობების (აღნიშნული საპატიო პირობებია ა) მსჯავრდებულის ჯანმრთელობის ისეთი მდგომარეობა, რომელიც შეუძლებელს ხდის დადგენილი რეჟიმის შესრულებას, რასაც ადასტურებს ექიმის მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა; ბ) მსჯავრდებულის ახლო ნათესავის ( მშობელი , მშვილებელი , შვილი , მინდობით აღსაზრდელი , პაპა , ბებია , შვილიშვილი , და , ძმა , მეუღლე ( მათ შორის , განქორწინებული )) ან მსჯავრდებულთან მუდმივად მცხოვრები პირის გარდაცვალება ; გ) მსჯავრდებულის სამსახურებრივ ან პროფესიულ, ანდა სპორტულ, კულტურულ ან საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებული მივლინება, რასაც ადასტურებს შესაბამისი დოკუმენტი; დ) მსჯავრდებულის მიერ დადგენილი რეჟიმის დარღვევა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, დაუძლეველი ძალის (ფორსმაჟორის) არსებობისას, კერძოდ, სტიქიური უბედურების, ავარიის, ხანძრის, მასობრივი არეულობის, სამხედრო მოქმედების, კარანტინის ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში, რასაც ადასტურებს შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი; ე) მსჯავრდებულისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება, აგრეთვე მსჯავრდებულის მონაწილეობა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილ საპროცესო მოქმედებებში, ასევე სამართალდამცავი ორგანოების „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საქმიანობაში, რასაც ადასტურებს შესაბამისი დოკუ-

მენტი; ვ) მსჯავრდებულის სამხედრო სარეზერვო სამსახურში ყოფნა, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით, რომელიც წარედგინება პრობაციის ბიუროს მსჯავრდებულის სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევამდე. არსებობის შემთხვევაში, პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსთან შეთანხმებით, მსჯავრდებულის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის დასაბუთებული თხოვნით, პრობაციის ბიუროს უფროსის წერილობითი ნებართვით მსჯავრდებულს შესაძლებელია მიეცეს საცხოვრებლიდან დროებით გასვლის უფლება. შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით აღსრულების შემთხვევაში შეიძლება დაწესდეს საფასური. ეს საფასური პრობაციის ეროვნული სააგენტოს ანგარიშზე ირიცხება და მისი მიზნების განხორციელებასა და ფუნქციების შესრულებას ხმარდება.) შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით აღსრულებისათვის დაწესებული საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება მსჯავრდებული, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი საარსებო შემწეობის მისაღებად საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ქულას არ აღემატება.

იუსტიციის სახლი რამდენიმე ტიპის სისხლის სამართლის ჯარიმებზე ახორციელებს აღსრულებას. ესენია: აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდების შემთხვევაში განაჩენით დაკისრებული ჯარიმის აღსრულება; სისხლის სამართლის საქმეზე გირაოს სახით შეტანილ უძრავ ქონებაზე აღსრულების მიქცევა; სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო შეთანხმების თანხის გადაირიცხვა ბიუჯეტში ჯარიმის უზრუნველსაყოფად; გირაოს თანხის დაბრუნება; განაჩენის გამოტანის შემდეგ, სასამართლო იუსტიციის სახლში აგზავნის განაჩენს და სააღსრულებო ფურცელს, ჯარიმის ნაწილში აღსასრულებლად. იუსტიციის სახლი ვალდებულია, სააღსრულებო ფურცლის იუსტიციის სახლში წარდგენიდან 10 დღის ვადაში მსჯავრდებულისა და გირაოს შემტანის წერილობითი თანხმობით, მოახდინოს აღსრულება გირაოს სახით შეტანილ ფულად თანხაზე და გადარიცხოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტში. იმ შემთხვევაში, თუ თანხა გადახდილია მსჯავრდებულის მიერ, წერილობითი თანხმობა არ არის საჭირო და თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში. თუ მსჯავრდებულს ფულადი თანხა უზრუნველყოფილი აქვს უძრავი ქონებით, თანხის ვადაში გადახდის შემთხვევაში უძრავი ქონება თავისუფლდება ყადაღისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში უძრავი ქონების რეალიზაცია აუქციონზე ხდება.<sup>120</sup>

საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 28<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად „აღსრულების ეროვნული ბიურო ვალდებულია სააღსრულებო ფურცლის სააღსრულებო ბიუროში

<sup>120</sup> <https://www.myadvokat.ge/ka/blog/4462> - სისხლის სამართლის ჯარიმების აღსრულება იუსტიციის სახლში

წარდგენიდან 10 დღის ვადაში, მსჯავრდებულისა და გირაოს შემტანის წერილობითი თანხმობის საფუძველზე (ხოლო თუ გირაოს შემტანი თავად მსჯავრდებულია ან გირაო შემტანილია მსჯავრდებულის სახელით – მისი თანხმობის გარეშე) მოახდინოს აღსრულება გირაოს სახით აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანილ ფულად თანხაზე ამ კანონით დადგენილი წესით“, მაგრამ რა ხდება მაშინ თუ მსჯავრდებულს გირაო არ აქვს აღკვეთის რონისძიების სახედ შეფარდებული ან არ გირაო არ აქვს გადახდილი. სასჯელის სახით ჯარიმის განსაზღვრის შემთხვევაში პირი ნასამართლევად ითვლება მანამდე ვიდრე ჯარიმას არ გადაიხდის და ჯარიმის გადახდიდან არ გავა კანონით დადგენილი ვადა, გარდა აღნიშნულისა სხვ არანაირ შედეგს არ იქცევს ჯარიმის გადაუხდელობა.

#### **4.3. არასაპატიმრო სასჯელთა შედარებითი სამართლებრივი ანალიზი.**

შედარებითი სამართლებრივი კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია განვიხილოთ გერმანული სისხლის სამართალი. მოცემულ ქვეყანაში სისხლის სამართალში არ არსებობს სასჯელის საკანონმდებლო დეფინიცია, ასევე არ არის განსაზღვრული მისი მიზნები. აღნიშნული საკითხები განიხილება სისხლისსამართლებრივი დოქტრინის მიერ. ასე მაგალითად, დასავლეთ გერმანიის მეცნიერთა აზრით: „სასჯელი წარმოადგენს კომპლექსურ ცნებას. იგი შეიძლება მივიჩნიოთ, დანაშაულის ჩადენის შედეგად დარღვეული მართლწესრიგის აღდგენის სიმბოლოდ. ამის შესაბამისად, სასჯელი, ეს არის დანაშაულის გამოსყიდვა, სამაგიეროს მიზღვევა დამნაშავისათვის. საკონსტიტუციო სასამართლო ლაპარაკობს „ანგარიშსწორებაზე კანონის დარღვევის გამო“. მაგრამ სასჯელის მეშვეობით შეიძლება რაციონალური მიზნების მიღწევა<sup>121</sup>. განსაკუთრებით საინტერესოა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მიდგომა სასჯელის დანიშვნასთან მიმართებით ჰუმანურობის პრინციპიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია ის ზეგავლენა, რომელიც აუცილებლად თანსდევს სასჯელს, სამართალდამრღვევის შემდგომი ცხოვრება საზოგადოებაში, ამიტომ სასამართლოს, მე-60 პარაგრაფის საფუძველზე, შეუძლია უარი თქვას სასჯელზე, თუკი სამართალდამრღვევისათვის ქმედების შედეგი თვითონ იმდენად მძიმეა რომ შეფარდებული სასჯელი ნამდვილად ვერ მიაღწევს მიზანს<sup>122</sup>.

განსხვავებით საქართველოსგან სადაც სტატისტიკურად ყველაზე პოპულარულ სასჯელს ჯარიმა წარმოადგენს, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა ალბათ ყველაზე პოპულარული

<sup>121</sup> ზ. გოთუა, საზღვარგარეთის სისხლის სამართალი. თბილისი. 1998.

<sup>122</sup> ზ. გოთუა, საზღვარგარეთის სისხლის სამართალი. თბილისი. 1998.

არასაპატიმრო სასჯელია ევროპის ქვეყნებში. იგი მოიცავს სავალდებულო არაანაზღაურებად სამუშაოსაც, რომელსაც დამნაშავეები ასრულებენ თავისუფალ დროს. აუცილებელია, მათ მიერ გაწეული შრომა იყოს სასარგებლო იმ საზოგადოებისთვის, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან. იგი არ უნდა ანაცვლებდეს ანაზღაურებად სამუშაოს სახელმწიფო ან კომერციულ სექტორში. ჩვეულებრივ, სასჯელის მაქსიმალური ვადა 300-დან 400 საათამდე მერყეობს. წინასწარ განისაზღვრება კვირის განმავლობაში შესასრულებელი მინიმალური და მაქსიმალური სამუშაო საათების რაოდენობა.<sup>123</sup>

ევროპის ქვეყნებში საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა მიჩნეულია, როგორც საზოგადოებრივი სასჯელის ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი ფორმა და შესაბამისად, მისი გამოყენება ხდება იმ დამნაშავეების მიმართ, რომლებიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაექვემდებარებიან მოკლევადიან საპატიმრო სასჯელს. გამომდინარე იქიდან, რომ ევროპაში ამ ხალხს ნაკლებად აქვთ სურვილი, დაემორჩილონ სასამართლოს განჩინებას, მათი უმრავლესობა განაწილებულია ისეთ სამუშაოზე, რომელზე ზედამხედველობასაც ახორციელებენ თავად პრობაციის თანამშრომლები.<sup>124</sup>

შინაპატიმრობა ისევე როგორც ევროპაში აშშ-იც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული არასაპატიმრო სასჯელის სახეა. ამ მხრივ კი საინტერესოა აშშ ჩატარებული კვლევა, რომელიც სულ სხვა კუთხით წარმოაჩენს შინაპატიმრობას, როგორც სასჯელის სახეს, რომელიც განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება არასრულწლოვანთა მიმართ.

შინაპატიმრობაზე, როგორც სასჯელის სახეზე დაკვირვებამ აშშ-ში აჩვენა, რომ მის მოხდასთან დაკავშირებით ფსიქიკური პრობლემები წარმოიშობოდა მაშინ, როდესაც არასრულწლოვანი 24 საათს სახლში მარტო ატარებდა. მოწყენილობის გამო არასრულწლოვანს ქცევითი პრობლემები უჩნდება მაშინ თუ ზრდასრული პირი ამ დროს მასზე არ ზრუნავს.<sup>125</sup> ვინაიდან მსჯავრდებულის დედა სხვა ქალაქში მუშაობდა, სავარაუდოა, რომ მას დიდი პერიოდის განმავლობაში მოუწევდა მარტო ყოფნა, რასაც შესაძლოა დართოდა ფსიქიკური პრობლემები და ქცევის გაუარესება.

---

<sup>123</sup> კვლევის ანგარიში „არასაპატიმრო სანქციების გამოყენების ხელშეწყობა სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში.“ თბილისი. 2015 წელი. გვ.8.

<sup>124</sup> იხ. სქოლიო N123. გვ.8

<sup>125</sup> ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არარულწლოვანთა მართლმსაჯულებაში-ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება, სისხლისსამართლის აქტუალური საკითხები, N1, თბილისი, 2017, გვ. 67.

#### 4.4. არასაპატიმრო სასჯელთა სტატისტიკა

უმნიშვნელოვანესია სტატისტიკური მონაცემების დადგენა არასაპატიმრო სასჯელთა გამოყენების კუთხით, მცირე პრაქტიკული გამოცდილებით შემიძლება აღვნიშნო, რომ არასაპატიმრო სასჯელთა გამოყენების პრაქტიკა იზრდება წინა წლებთან მიმართებით, განსაკუთრებით ხშირია სასჯელის სახედ ჯარიმის გამოყენება, აღნიშნული საკითხის დაზუსტებისა და შესაბამისად ზუსტი სტატისტიკის ასახვისათვის წარმოდგენთ 2017, 2018, 2019 წლების სტატისტიკურ მონაცემებს თბილისის საქალაქო სასამართლოდან, რომელიც წარმოადგენს ძირითად ღერძს საერთო სასამართლოების სისტემაში და ქმნის ზოგად სურათს მთელი ქვეყნის მაშტაბით არსებული სასამართლო პრაქტიკის კუთხით.

##### **თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის სტატისტიკური მონაცემები.**

„2017 წელი - სასჯელის სახედ ჯარიმა განესაზღვრა 1186 მსჯავრდებულს.

2018 წელი - სასჯელის სახედ გამასწორებელი სამუშაო განესაზღვრა 0 მსჯავრდებულს.

2017 წელი - სასჯელის სახედ სხვა სასჯელი განესაზღვრა 400 მსჯავრდებულს.

2017 წელი - დამატებითი სასჯელის სახედ ჯარიმა განესაზღვრა 1338 მსჯავრდებულს.

2017 წლის - დამატებითი სასჯელის სახედ თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა განესაზღვრა 1545 მსჯავრდებულს.

დამატებითი სასჯელის სახედ ქონების ჩამორთმევა - 58 მსჯავრდებულს.

დამატებითი სასჯელის სახედ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა განესაზღვრა 480 მსჯავრდებულს.“<sup>126</sup>

##### **თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის სტატისტიკური მონაცემები.**

„2018 წელი - სასჯელის სახედ ჯარიმა განესაზღვრა 1334 მსჯავრდებულს.

2018 წელი - სასჯელის სახედ გამასწორებელი სამუშაო განესაზღვრა 1 მსჯავრდებულს.

2018 წელი - სასჯელის სახედ და ზომად თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლება განესაზღვრა 1 მსჯავრდებულს.

2018 წელი - სასჯელის სახედ სხვა სასჯელი განესაზღვრა 218 მსჯავრდებულს.

2018 წელი - დამატებითი სასჯელის სახედ ჯარიმა განესაზღვრა 1420 მსჯავრდებულს.

2018 წლის - დამატებითი სასჯელის სახედ თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა განესაზღვრა 1578 მსჯავრდებულს.

დამატებითი სასჯელის სახედ ქონების ჩამორთმევა განესაზღვრა - 72 მსჯავრდებულს.

დამატებითი სასჯელის სახედ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა განესაზღვრა 608 მსჯავრდებულს.“<sup>127</sup>

---

<sup>126</sup> <http://tcc.gov.ge/ka/Statistics> 2017 წლის სტატისტიკური მონაცემები

<sup>127</sup> <http://tcc.gov.ge/ka/Statistics> 2018 წლის სტატისტიკური მონაცემები

აღნიშნული სტატისტიკური მონაცემებით ნათლად ჩანს, რომ ყველაზე პოპულარულ არასაპატიმრო სასჯელის სახეს წარმოადგენს ჯარიმა, შემდეგ კი საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა. თუმცა ძალიან დაბალია არასაპატიმრო სასჯელთა საერთო რაოდენობა საპატიმრო სასჯელებთან მიმართებით, ამ კუთხით ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო სახელმწიფოს. პრობლემურია ის საკითხებიც, რომ არასაპატიმრო სასჯელთა გარკვეული სახეები საერთოდ არ გამოიყენება, ვინაიდან არ არსებობს აღსრულების მექანიზმები, აღნიშნული ნათლად ჩანს სტატისტიკური მონაცემებიდანაც.

### **თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017, 2018, 2019 წლების სტატისტიკური მონაცემები.**

წარმოგიდგენთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სტატისტიკურ მონაცემებს არასაპატიმრო სასჯელის გამკაცრების, ანუ საპატიმრო სასჯელის შეცვლის კუთხით და პირიქით.

„თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2017-2018-2019 წლებში, თბილისის საქალაქო სასამართლოს 52 განაჩენში საპატიმრო სასჯელი შეიცვალა არასაპატიმრო სასჯელით, ხოლო 20 განაჩენში პირიქით, არასაპატიმრო სასჯელი შეიცვალა საპატიმრო სასჯელით.

2017 წელი - 16 განაჩენში საპატიმრო სასჯელი შეიცვალა არასაპატიმრო სასჯელით;

8 განაჩენში არასაპატიმრო სასჯელი შეიცვალა საპატიმრო სასჯელით;

2018 წელი - 21 განაჩენში საპატიმრო სასჯელი შეიცვალა არასაპატიმრო სასჯელით;

9 განაჩენში არასაპატიმრო სასჯელი შეიცვალა საპატიმრო სასჯელით;

2019 წელი - 15 განაჩენში საპატიმრო სასჯელი შეიცვალა არასაპატიმრო სასჯელით;

3 განაჩენში არასაპატიმრო სასჯელი შეიცვალა საპატიმრო სასჯელით.“<sup>128</sup>

დადებითად შეიძლება შეფასდეს ის გარემოება, რომ ზემდგომი ინსტანციის გადაწყვეტილებები, სასჯელში შესული ცვლილებების კუთხით საპატიმრო სასჯელის შეცვლის არასაპატიმრო სასჯელის სახით უფრო მეტია ვიდრე პირიქით, ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმ გარემოებას, რომ ქვეყანაში ურო აქტუალური ხდება არასაპატიმრო სასჯელთა გამოყენება.

---

<sup>128</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლო, მომართვა N01/171(ა), სტატისტიკის სექტორის სპეციალისტი ანა კიკაბიძე.



## თავი V. კვლევის შედეგები

სასჯელის სწორად განსაზღვრა, უმნიშვნელოვანესია სასჯელის მიზნებისთვის, რადგან სასჯელის ძირითად ფუნქციას სწორედ ბრალის ხარისხის შესაბამისი სასჯელის დანიშვნა წარმოადგენს, რომლითაც უნდა იქნეს მიღწეული სასჯელის მიზნები, რომელიც მიმართული უნდა იყოს მსჯავრდებულის რესოციალიზაციისაკენ.

სამაგისტრო ნაშრომში განხილულ იქნა არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების მექანიზმები. აღსრულებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო რეგულაციები და პრობლემები. ასევე, განვიხილულ იქნა არასაპატიმრო სასჯელთა შედარებით სამართლებრივ ანალიზი და სტატისტიკურ მონაცემები, რომელმაც საერთო სურათი შექმნა ნაშრომში განხილულ სასამართლო გადაწყვეტილებებთან ერთად, არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების თვალსაზრისით. სტატისტიკური კვლევის მეთოდის გამოყენებით და სტატისტიკური მონაცემების შეჯერებით დავინახეთ თუ, რომელი არასაპატიმრო სასჯელის სახეა ყველაზე ხშირად გამოყენებადი და პირიქით. ამასთან გავეცანით ზემდგომი ინსტანციის სტატისტიკურ მონაცემებს სასჯელის ცვალებადობის კუთხით, თუ რამდენი არასაპატიმრო სასჯელის შეცვლა ხდება საპატიმრო სასჯელით და პირიქით. სასამართლო პრაქტიკიდან მოყვანილი მაგალითების განხილვისას კი ნათლად წარმოჩნდა, რამდენად ითვალისწინებს სასამართლო ყველა იმ გარემოებას, რაც საჭიროა სამართლიანი და ობიექტური სასჯელის დასანიშნად და რამდენად ისახავს მიზნად მიღწეულ იქნეს სასჯელის მიზნები.

## დასკვნა

ნაშრომში გამოყენებულ იქნა კვლევის სტატისტიკური მეთოდი, რომელზე დაკვირვებითაც ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ არასაპატიმრო სასჯელთა შორის ყველაზე ხშირად გამოყენებადია ჯარიმა, როგორც ძირითადი ისე დამატებითი სასჯელის სახედ. თუმცა ყველაზე დიდი პრობლემა, სწორედ ამ სასჯელის აღსრულების კუთხით არსებობს, ვინაიდან სააღსრულებო წარმოება - ჯარიმის გადახდა მსჯავრდებულის მხრიდან კონტროლგარეშე რჩება გარდა იმ შემთხვევისა თუ კი პირს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული ქონდა გირაო. შესაბამისად უნდა დავასკვნათ, რომ სასჯელის სახით ჯარიმის დანიშვნის შემთხვევაში ხშირად განაჩენი რჩება აღუსრულებელი, ასეთ შემთხვევაში კი სასჯელის მიზნები არ არის მიღწეული. აუცილებლად უნდა შექმნას სახელმწიფომ კონტროლის მექანიზმი სასჯელის სახით ჯარიმა დანიშნული განაჩენების აღსასრულებლად და მხოლოდ ის გარემოება არ უნდა იყოს დამაბრკოლებელი მსჯავრდებულისთვის, რომ გადახდიდან კანონით დადგენილ ვადამდე იგი რჩება ნასამართლევ. კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ხარვეზი, რაც კანონმდებლობაში არსებობს, არის ის რომ არ არის დადგენილი ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა, რაც გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული სამართალშემფარდებლისთვისაც. ჯარიმა დამატებით სასჯელად შეიძლება დაინიშნოს მაშინაც, როდესაც იგი დამატებით სასჯელად არ არის გათვალისწინებული შესაბამის მუხლში. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, განჭვრეტადობა - ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით პირს შეიძლება ჯარიმა დამატებით დაენიშნოს მაშინაც კი როცა ის პირდაპირ მუხლით არ არის გათვალისწინებული. მოქალაქეს არ აქვს გონივრული შესაძლებლობა, წინასწარ განსაზღვროს მის მიერ ჩადენილი ქმედების სამართლებრივი შედეგები. ვფიქრობ, ეს საკითხი აუცილებლად უნდა იქნეს გადაჭრილი პოზიტიური კუთხით. კარგი პრაქტიკა არსებობს არასრულწლოვნებთან მიმართებით, სასამართლოს მხრიდან ჯარიმის დანიშვნის კუთხით, სასამართლო ზედმიწევნით ითვალისწინებს ყველა გარემოებას, რაც საუკეთესოა არასრულწლოვანთა ინტერესებისათვის, მშობლებს არ აკისრებს ვალდებულებას „პასუხი აგონ“ შვილის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, ჯარიმის გადახდის კუთხით და შესაბამისად იშვიათად ხდება ჯარიმის დანიშვნა.

რიგით მეორე ყველაზე გავრცელებული, არასაპატიმრო სასჯელის სახე არის საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, რომლის გამოყენების პრაქტიკა იმატებს საქართველოში, რაც დადებითად აისახება მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის კუთხით. საინტერესოა ამ კუთხით არასრულ-

წლოვნებთან მიმართებით სასჯელის მინიმალური ოდენობა. კანონმდებელი სრულყოფილად აღწერს, იმ გარემოებებს ვის არ შეიძლება დაენიშნოს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, ასევე იმ ვალდებულებებს, რომელიც სახელმწიფოს ეკუთვნის პირის წინაშე, რომელიც სასჯელს იხდის კონკრეტული უსასყიდოლო სამუშაოს შესრულებისას. თუმცა ამ შემთხვევაშიც, როგორც ნაშრომში ზევით აღნიშნა არსებობს განჭვრეტადობის პრობლემა.

რაც შეეხება სხვა სასჯელებს, სტატისტიკური მონაცემებით ცხადი ხდება, რომ ისინი ძალიან იშვიათად გამოიყენება, ზოგიერთი მათგანი კი საერთოდ არა. დავიწყოთ გამასწორებელი სამუშაოთი, არასაპატიმრო სასჯელის ეს სახე პრაქტიკაში თითქმის არ გამოიყენება, ვინაიდან არ არსებობს აღსრულების მექანიზმები. კარგი იქნება თუ სახელმწიფო მიიღებს შესაბამის ზომებს და ხელს შეუწყობს სასჯელის ამ სახის აქტიურად გამოყენებას.

შინაპატიმრობა, საქართველოს სისხლის სამართლებრივ სივრცეში ახალი სიტყვაა და სულ უფრო აქტუალური ხდება მისი გამოყენება. აღნიშნული სასჯელის სახე განსაკუთრებით კარგია არასრულწლოვნებთან მიმართებით. არასრულწლოვანთან მიერ ჩადენილი დანაშაულები დიდი ოდენობით მიმართული საკუთრების წინააღმდეგ და ჩადენილია ღამის საათებში, მათთვის სასჯელად შინაპატიმრობის დანიშვნის შემთხვევაში უზრუნველყოფლია სახლში ყოფნა და მეტია ოჯახის წევრთა მიერ მათზე მეთვალყურეობის შესაძლებლობა. ამასთან არ ხდება არასრულწლოვანთა საზოგადოებისაგან იზოლირება და ხელი არ ეშლება სასწავლო პროცესის მიმდინარეობას. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული სასჯელის სახე ნამდვილად ემსახურება არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებს. თუმცა არსებობს გარკვეული პრობლემებიც, სამაჯურის დაზიანებასთან მიმართებით. იმ შემთხვევაში თუ კი სამაჯური დაზიანდა ხელმეორედ მის დამაგრებასთან დაკავშირებული ხარჯების გაღება უწევს მსჯავრდებულს, რაც მისი ღირებულებიდან გამომდინარე შესაძლოა ურთულესი აღმოჩნდეს. არასრულწლოვნის შემთხვევაში კი ღირებულების გადახდა ძირითად შემთხვევაში უწევს ოჯახს.

ამდენად, ნაშრომში განხილულ იქნა რა არასაპატიმრო სასჯელები და მათი პრობლემური მხარეები, ცხადი გახდა, რომ მათზე მსჯელობა კვლავ აქტუალური თემაა და მიუხედავად წარმოშობა-განვითარების დიდი ხნის ისტორიისა და მის შესახებ გამოთქმული არაერთი აზრისა, მომავალშიც მნიშვნელოვანია გაგრძელდეს აღნიშნული ინსტიტუტის კვლევა და ამ თემაზე მუშაობა, რაც გარკვეულ წვლილს შეიტანს სისხლის სამართლის მეცნიერებისა და სასამართლო პრაქტიკის განვითარებაში.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. დვალიძე, „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები)“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013.
2. მ. ტურავა, „სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი) - დანაშაულის მოძღვრება“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011.
3. მ. ტურავა, „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა“, მე-9 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013.
4. ი. ვარძელაშვილი „სასჯელის მიზნები“, „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი, 2016.
5. გ. არსოშვილი, გ. მიქნაძე, მ. შალიკაშვილი „პრობაციის სამართალი“, თბილისი, 2014.
6. მ. ლეკვეიშვილი „სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები.“
7. მ. შალიკაშვილი, გ. მიქნაძე, მ. ხასია, „სასჯელადსრულების სამართალი“, თბილისი, 2014.
8. მ. დავითაძე, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N3, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენება და მისი კანონისმიერი შეზღუდვები. თბილისი 2017.
9. ი. ბოხაშვილი, „საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა - არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი“, მართლმსაჯულება და კანონი N2, თბილისი, 2011.
10. მ. ივანიძე „სასჯელის შეფარდების ზოგადი საწყისები საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის მიხედვით“, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“ N1, თბილისი, 2017.
11. ქ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი „შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება“, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“ N1, თბილისი, 2017.
12. მ. ხუროშვილი, სისხლის სამართლის ჟურნალი N1, „შინაპატიმრობა, როგორც არასრულწლოვნის სასჯელის ერთ-ერთი სახე“, თ. სი. 2018. გვ.
13. კვლევის ანგარიში „არასაპატიმრო სანქციების გამოყენების ხელშეწყობა სომხეთში აზერბაიჯანსა და საქართველოში“, თბილისი, 2015.
14. ზ. გოთუა „საზღვარგარეთის სისხლის სამართალი“, თბილისი, 1998.

15. ალ. ვაჩიშვილის, სასჯელი და სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი, თბილისი 1960.
16. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო) ზოგადი ნაწილი. თბილისი. 2016.
17. მ. შალიკაშვილი, ალტერნატიული სასჯელების კვლევა საქართველოში, მზია ლეკვეიშვილის სა-  
იუბულო კრებული, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბილისი 2014.
18. თ. მახაროზიძე შინაპატიმრობა, როგორც საპატიმრო სასჯელის ახალი ალტერნატივა იუვენალურ იუსტიციაში, გურამ ნაჭყებია-75, საიუბილო სტატიათა კრებული, რედ. ნ. თოდუა, თბილისი, 2016.
19. მ. მოსულიშვილი, კანონიერება-სამართლის ერთ-ერთი პრინციპი, თბილისი, 2000.
20. რედ. ნ. თოდუა, „სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში“, თბილისი, 2016.
21. ვ. ბენიძე „დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები“, თბილისი, 2006.
22. ი. ვარძელაშვილი, „პირობითი მსჯავრის დანიშვნა და გაუქმება“. გ. ნაჭყებია - 75, საიუბილო კრებული, თბილისი, 2016,
23. მ. ქათამაძე, პირობითი მსჯავრის იურიდიული ბუნება, ჟურნალი „სამართალი“ 1-2.

#### **უცხოენოვანი ლიტერატურა**

24. H-J. Kerner (Hrsg.) Straffälligenhilfe in Geschichte und Gegenwart : Beiträge und Dokumente zur Entwicklung von Gerichtshilfe, Strafaussetzung, Bewährungshilfe, Strafvollzug und Straftlassenenhilfe aus Anlaß des 40. Jahrestages praktischer Bewährungshilfe in der Bundesrepublik Deutschland. Bonn 1990.
25. С. Полубинская. Цели уголовного наказания М. 1980.
26. В. К. Дуюнов. Механизм уголовно-правового воздействия теоретические основы и практика реализации. дисс. докт. Юрид. Наук. Тольяти 2001.
27. Meier, B-D./Rosaner, D./Schoch, H., 2013, S. 201: Diemer, H./Schatz, H. A./Sonnen, B-R. 2011.
28. Dimmer, H Schnitz, H, A. Soflict, B-, 2011.

#### **ნორმატიული აქტები**

29. საქართველოს კონსტიტუცია. (2020 წლის მდგომარეობით.)
30. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. (2020 წლის მდგომარეობით.)
31. საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. (2020 წლის მდგომარეობით.)

32. საქართველოს კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ. (2020 წლის მდგომარეობით.)
33. აქტი სასჯელის სახით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნის შესახებ. (2020 წლის მდგომარეობით.)
34. აქტი სასჯელის სახით გამასწორებელი სასჯელის დანიშვნის შესახებ. (2020 წლის მდგომარეობით.)
36. საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის ბრძანება შინაპატიმრობის წესის დამტკიცების შესახებ. (2020 წლის მდგომარეობით.)
37. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. (2020 წლის მდგომარეობით.)
38. საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ (2020 წლის მდგომარეობით.)

#### **სასამართლო გადაწყვეტილებები**

39. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 15 ნოემბრის განაჩენი.
40. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 07 ნოემბრის განაჩენი.
41. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 27 თებერვლის განაჩენი.
42. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 23 ივნისის განაჩენი.
43. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 04 დეკემბრის განაჩენი.
44. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 25 მარტის განაჩენი.
45. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 05 აპრილის განაჩენი.
46. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 06 აპრილის განაჩენი.
47. ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 30 აპრილის განაჩენი.
48. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება.

#### **ელექტრონული მისამართები.**

49. <http://www.supremecourt.ge/about-job-information/> (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 2020 წლის 27 მაისს.)
50. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/> (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 2020 წლის 27 მაისს)
51. <http://www.moc.gov.ge/> (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 2020 წლის 27 მაისს)
52. <http://www.liberali.ge/articles/view/3354/probatsia-amerikulad> (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 2020 წლის 27 მაისს)
53. <http://www.nplg.gov.ge/> (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 2020 წლის 27 მაისს)
54. <https://gvantsataruashvili.wordpress.com/> (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 2020 წლის 27 მაისს)

55. <http://www.gurianews.com/article/> (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 2020 წლის 27 მაისს)
56. <https://www.myadvokat.ge/ka/blog/4462> (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 2020 წლის 27 მაისს)
57. <http://tcc.gov.ge/ka/Statistics> (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 2020 წლის 27 მაისს)
58. <http://ecd.court.ge/> (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 2020 წლის 27 მაისს).